# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 27 ივლისი 2007 №171 (3094)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# უჩვეულო სარბიელი: როცა პირველ გვერდზე პოლიტიკა თამაშობს...

# საქართველომ ყაზახეთს და ფიფა-უეფას მიმართა



ვინც გუშინდელი „სარბიელი“ წაიკითხა, ყველაფერი კარგად ეცოდინება, ხოლო ვინც ეს ვერ მოახერხა, იმათ ერთხელაც გავაცნობთ საქმის არსს: სამიოდ დღის წინ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში რუსთავის „ოლიმპი“ 0:3 დამარცხდა ყაზახურ „ასტანასთან“ და გათამაშებიდან გავარდა. წაგებით ვის არ წაუგია, თუმც ჩვენი თემა ამჯერად სხვაა: ასტანელების მიერ დაბეჭდილი მატჩის პროგრამის პირველ გვერდზე ხატია საქართველოს რუკა, რომელსაც ჩამოჭრილი აქვს აფხაზეთი, სამაჩაბლო და აჭარა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ამის თაობაზე „სარბიელმა“ გუშინ დაწერა და „ასტანას“ პრესსამსახურის ოფიციალური კომენტარიც შემოგთავაზათ, სადაც მასპინძლები ირწმუნებიან, რომ ეს არავითარი პოლიტიკური ხრიკი არ ყოფილა, უბრალოდ, დაბეჭდეს ის რუკა, რაც ინტერნეტში მოიძიეს.

ჩვენ არ ვაპირებთ იმის გამოძიებას, გამიზნული იყო თუ არა ეს. უბრალოდ, გვინდა, დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია, რომ ეს არის ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი ფაქტი.

კარგია, რომ ასე ფიქრობენ საქართველოს ხელისუფლებაც და ფეხბურთის ფედერაციაც.

გუშინ, როცა ამ სკანდალური თემის გაგრძელებას მივყევით, შევიტყვეთ, რომ ქართულმა მხარემ უკვე ყველა საჭირო ორგანიზაციას და წარმომადგენლობას მიმართა და შედეგებს უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსმა ნინო ქაჯაიამ ეს გვითხრა: „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს დაიბარა საქართველოში ყაზახეთის საქმეთა რწმუნებული იგორ მუსალიმოვი, რომელსაც გადაეცა საპროტესტო ნოტა. ქართულმა მხარემ გაკვირვება და გაოცება გამოხატა მომხდარით, მით უმეტეს, საქართველო-ყაზახეთის საკმაოდ ახლო ურთიერთობების ფონზე. ჩვენ ყაზახური მხარისგან უახლოეს დღეებში ველით ახსნა-განმარტებებს. ბატონმა მუსალიმოვმა გაიზიარა ჩვენი შეშფოთება და განაცხადა, რომ ყაზახეთი ყოველთვის აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. მან ისიც გვითხრა, რომ მომხდარი არის ერთი კერძო სუბიექტის უპასუხისმგებლობის ბრალი და ამას არავითარი კავშირი არ აქვს ოფიციალური ყაზახეთის პოზიციასთან“.

გუშინვე შევეხმიანეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროს სანდრო ცნობილაძეს: „დღეს გაიგზავნა წერილი ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციაში. ყაზახური მხარისგან ვითხოვთ განმარტებას ამ აღმაშფოთებელი ფაქტის გამო. წერილის ასლი გაეგზავნა ფიფა-უეფასაც. ახლა დაველოდებით ყაზახების პასუხს და თუ საჭიროება მოითხოვს, უფლებას ვიტოვებთ, ისევ ჩავაყენოთ საქმის კურსში ფიფა და უეფა“.

მოკლედ, ასტანელთა დაუდევრობას თუ ბინძურ პოლიტიკურ თამაშს საკმაო რეზონანსი მოჰყვა და ჩვენც დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ხელები შორს აფხაზეთისგან!




## რუსეთი სოჭის ოლიმპიურ თამაშებს ბინძურად ათამაშებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მკაცრად გააფრთხილა რუსები, რომ თუ ისინი 2014 წლის სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად აფხაზეთის ტერიტორიას გამოიყენებენ, საქართველო ყველა საერთაშორისო ნორმით გათვალისწინებულ მექანიზმს მიმართავს ამ ფაქტის აღსაკვეთად.

ასეთი განცხადება მოჰყვა რუსების მიზანს, განათავსოს რამდენიმე სამშენებლო ობიექტი აფხაზეთში, რათა იქიდან იოლად განახორციელოს ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი გეგმა და თან მილიონობით ინვესტიციები ჩადოს კონფლიქტურ ზონაში.

ბუნებრივია, ამან საქართველოს ხელისუფლება ძალიან გააღიზიანა და რუსები უკვე შიშობენ კიდეც — აი, რას ვკითხულობთ გუშინდელ „ეხო მოსკვი“-ში: „თუ რუსეთი აფხაზეთის გამოყენებაზე ხელს არ აიღებს, საქართველო მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას არ დაგვანებებს“.

მოკლედ, რუსების ბინძურმა პოლიტიკამ სპორტიდანაც შემოგვიტია...

**ბაჩა შალამბერიძე**



# გამგეობა ჩატარდა, აღმასკომი გადაიდო

**გუშინ** პროფლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა, რომელმაც ორ საათზე მეტხანს გასტანა.

რა გაირკვა და რა არა, ვინ იცის...

ჩვენი კლუბების ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, უმაღლესი და პირველი ლიგები ჯერაც დაუკომპლექტებელია.

დღეს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა უნდა გამართულიყო, რომელზეც მთავარი საკითხი მოახლოებული ეროვნული ჩემპიონატი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, სხდომა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**ილია ნანობაშვილი**

# ან შეკრება რა იყო და ან დაშლა?! ცხინვალი ისევ საკითხავია


კობა ჟორჟიკაშვილი და გიორგი ნემსაძე

**„ცხინვალის“** უმაღლესლიგელობას ისევ დიდი კითხვის ნიშანი გაუჩნდა.

ცოტა ხნის წინ მწვრთნელად კობა ჟორჟიკაშვილი მიიყვანეს და უთხრეს, შენ გუნდი შეკრიბე და ფინანსური მხარდაჭერა ჩვენზე იყოსო. ჟორჟიკაშვილიც საქმეს კლუბის ვიცე-პრეზიდენტთან გიორგი ნემსაძესთან ერთად შეუდგა.

„ცხინვალში“ ბევრმა მეტ-ნაკლებად გამოცდილმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი, თითქოს ურეკშიც უნდა წასულიყვნენ შეკრებაზე, მაგრამ...

როგორც საქართველოში ხშირად ხდება, კლუბის ხელმძღვანელებს შეუთვალეს, ბიუჯეტიდან დაფინანსების იმედი აღარ გქონდეთო, თუმცა პაწაწინა იმედი მაინც დაუტოვეს „ცხინვალს“ — ორშაბათამდე იქნებ რამე შეიცვალოსო.

ორშაბათს 30 ივლისია, 4 აგვისტოს საქართველოს თასის გათამაშება იწყება, 11 აგვისტოს კი — ჩემპიონატი.

**ნუგზარ ლოლაძე**

# დღეს: პატარა რუსეთი — პატარა საქართველო

**გუშინ** საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები მოსკოვში გაფრინდა და დღეს რუს თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრება. მატჩი 18 საათზე „მოსკვიჩის“ სტადიონზე გაიმართება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ორი დღის წინ გამცნეთ, ახლა კი რუსეთის ნაკრების იმ ფეხბურთელებს გაგაცნობთ, რომლებიც დღეს ჩვენებს დაუპირისპირდებიან...

*მეკარეები:* *სტანისლავ პლოხიხი, დანიელ ლიამინი;*

*მცველები:* *ალექსეი ნიკიტინი, თემურ ბაითემიროვი, ირაკლი ჭეჟია, არტიომ ტროშინი, ალექსანდრ ვლასკინი, პაველ პაშინი;*

*ნახევარმცველები:* *ანტონ ბოდირევი, იგორ კირეევი, დმიტრი ნიკიტინსკი, ემინ მახმუდოვი, ილია მირონოვი, სოსლან გატაგოვი, ალექსანდრ ბორტიკი;*

*თავდამსხმელები:* *გეორგი ნუროვი, ვლადიმირ იბუხოვი, კარენ პეტროსიანცი, ალექსეი ოსადჩუკი.*

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს რუსეთში მეორე მატჩიც აქვს დაგეგმილი, რომელიც 29 ივლისს ქალაქ ბრონიციში 17 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# შოთამ მწვრთნელი გაახარა

**ესპანურ** „ლევანტეში“ ახლადგადასულ შოთა არველაძეს კუჭის ტკივილის გამო ვარჯიში რომ გაუცდა, გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით.

2006-07 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის უქმობა ხანმოკლე გამოდგა — ჩვენებურმა მხოლოდ ერთი ვარჯიში გამოტოვა, მომდევნო დღეს ინდივიდუალურად ივარჯიშა, გუშინ კი სან ლეონარდი დე იაგეში ძირითად ჯგუფს შეუერთდა.

ქართველი ფორვარდის მწყობრში ჩადგომა ყველაზე მეტად „ლევანტეს“ მწვრთნელ აბელ რესინოს გაუხარდა: „ქართველი ფეხბურთელი გუნდს გვიან შეუერთდა, ამიტომ მისი ყოველი ვარჯიში გუნდისთვის გამოსადეგია“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იაშვილის დებიუტი ისევ არ ჩანს

**გუშინ** „თუნმა“ შვეიცარიის ახალდაწყებულ ჩემპიონატში პირველი მატჩი გამართა და სანდრო იაშვილის დებიუტი არც ამჯერად შედგა.

გეხსომებათ, პირველი ტურის მატჩი „თუნს“ უამინდობის გამო გადაედო.

იაშვილის გუნდი გუშინ „ქსამაქსს“ 1:1 დაუზავდა.

როგორც სანდრომ რამდენიმე დღის წინ გვითხრა, თავიდან თამაში ცოტა ხანს მოუწევს, რადგან შვეიცარიაში მოუმზადებელი ჩავიდა და ფორმის აღსადგენად საგანგებო პროგრამით ვარჯიშობს.

ვნახოთ, გამოჩნდება თუ არა „სარბიელისა“ და პროფლიგის გამოკითხვებით მე-18 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული იაშვილი „თუნის“ მომდევნო მატჩში და თუ ითამაშა, სანდრო ალბათ უფრო შეცვლაზე შევა.

**ბაჩა ზალამბერიძე**







# მიკუჩაძე ნაზარეთშია

## შეუთანხმებელ ზესტაფონს შეთანხმებული ისრაელი ვარჩიე

26 წლის კოკა მიკუჩაძე შარშანდლამდე საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეული ფორვარდი იყო, შარშანწინ სწორედ ის იყო ბოლნისის „სიონის“ ლიდერ-ბომბარდირი, როცა ქვემოქართლელები ჩემპიონები გახდნენ.

მერე კოკა ისრაელის „ლიგა ლიმიტის“ (მეორე ლიგა) ბეერშევას „ჰაპოელში“ წავიდა, სადაც სეზონში 10 გოლი გაიტანა, მაგრამ გუნდიდან წამოსვლა არჩია.

დაახლოებით ერთი კვირის წინ მიკუჩაძის „ზესტაფონში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ...

— ისევ ისრაელში ვაგრძელებ კარიერას, მეორე ლიგის „ჰაპოელ ნაზარეთთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. საქართველოში დაბრუნება ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ „ზესტაფონთან“ შეთანხმება არ მოხერხდა — გვითხრა კოკამ, რომელსაც გუშინ ისრაელში დავუკავშირდით.

— ისრაელის უმაღლესი ლიგის გუნდებიდან არ გქონდა წინადადებები?

— ოთხი-ხუთი კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ მათ ადრევე ვუთხარი, რომ საქართველოში მერჩივნა დაბრუნება. მერე ეს გუნდები დაკომპლექტდა, „ჰაპოელ-ნაზარეთი“ კი გამზადებულ კონტრაქტს მთავაზობდა.

— როგორი გუნდია „ჰაპოელ-ნაზარეთი“?

— თითქმის იმავე დონის, რაც ბეერშევას „ჰაპოელია“. ბეერშევადან სეზონის დასრულებისთანავე მწვრთნელი წავიდა, ვისაც რამდენიმე კარგი ფეხბურთელიც მიჰყვა და გუნდი, ფაქტობრივად, დაიშალა. მეც ამიტომ აღარ გავჩერდი. „ჰაპოელ-ნაზარეთში“ დიდი იმედებით მიმიღეს — აქ უფრო ვიქნები ლიდერი, ვიდრე ბეერშევაში.

— ჩემპიონატი როდის გეწყებათ?

— 18 აგვისტოს. მანამდე კი კომერციული ტურნირი „ტოტო კაპი“ გველის.

— სხვა ქართველი ფეხბურთელები ხომ არ გამოჩენილან ისრაელში?

— ჯერჯერობით არა. ისე, ძალიან მინდა უფრო ამბიციურ გუნდში გადასვლა. წესით, აქაურ უმაღლეს ლიგაში გადასვლა დიდად არ უნდა გამიჭირდეს და ვნახოთ... შესაძლოა, იანვარშიც გადავიდე–

**ილია ნანობაშვილი**

### შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

ქსამაქსი 1:1 თუნი
ციურიხი 4:1 ლუცერნი

### ბულგარეთი

სუპერთასი

ლევსკი 2:1დ.დ. (1:1) ლიტეძსი

### შვედეთი

სუპერეტა
გადადებული მატჩი

მიალბი 2:0 ატვიდაბერგი

თასის 1/4 ფინალი

იოსტერსი 0:1 კალმარი
სუნდსვალი 1:2დ.დ. (1:1) ვასბი
ნორჩიოპინგი 2:3 ლანდსკრონა

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი. XI ტური

აკრანესი 4:1 კოპავოგური

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი

ჰიკ 5:0 მიუპა

### ამხანაგური მატჩები

ტორონტო 2:4 ასტონ ვილა
გრაასჰოპერი 0:0(პენ4:3) ნაიმეგენი
ალბიონი 0:2 პარტიკი
არბროთი 0:0 აკრინგტონი
დამბარტონი 0:3 სენ მირენი
დანფერმლაინი 2:1 ნოტინგემი
კოუდენბითი 0:0 როვერსი
ფორესტ გრინი 4:1 ბრისტოლი
ნიუკასლი 4:1 სელტიკი
დანდი იუნ. 0:1 ბარსელონა

### ნორვეგია

თასის 1/8 ფინალი

ნიგერმსუნდი 3:1 ვოლერენგა

# ყაზახურ გუნდებთან მარცხს არანაირი გამართლება არ აქვს



ქართული გუნდების ყაზახურ გუნდებთან შერცხვენა ჩვეულებრივ ამბად იქცა — ჯერ ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე კუშტანაის „ტობოლმა“ ადვილად ცხვირიდან ძმარი „ზესტაფონს“ (3:0, 0:2), სამიოდ დღის წინ კი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ასტანამ“ აყარა შავი დღე რუსთავის „ოლიმპს“ (0:0, 3:0). საინტერესოა, რას ფიქრობს რუსთაველი გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარლამ კილასონია ყაზახეთის ჩემპიონთან ასეთი მარცხის შემდეგ



გიორგი კახელიშვილმა (№11) და მისმა თანაგუნდელებმა ასტანელებს ვერაფერი დააკლეს

## ვარლამ კილასონია: ხელმძღვანელობა ჩემს საქმეებში რომ ერეოდეს, ოლიმპიდან დაუყოვნებლივ წავიდოდი!

— საწყის წუთებში ჩვენს კართან არანაირი ხიფათი არ შექმნილა, შემდეგ კი ძალიან დასანანი ბურთი გავუშვით. პირველ 45 წუთში „ასტანა“ სულ სამჯერ გადმოვიდა ჩვენს ნახევარზე და ერთხელ გოლი გაგვიტანა. პირველ და მესამე გოლზე მირზა მერლანს უკეთ თამაში მართებდა. პირველივე ტაიმში საგოლე შანსები ჰქონდათ გიორგი კახელიშვილს, ვლადან ჟივკოვიჩს, რევაზ ჯიქიას, თუმცა გოლი ვერა და ვერ გავიტანეთ...

...მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, დავით ჭიჭველიშვილმა ტრავმა მიიღო და იძულებითი შეცვლის გაკეთება მოგვიხდა. შემდეგ უწყინარ სიტუაციაში ჯიქიამ მიიღო წითელი ბარათი, ამას ლაშა ქებაძის ტვინის შერყევა მოჰყვა და ასეთი შედეგიც მივიღეთ...

...შეიძლება ბევრს გაეცინოს, თუმცა ყაზახეთში გაცილებით უკეთესი მომენტები გვქონდა, ვიდრე რუსთავში, მაგრამ ეს ფეხბურთია — ხან გაიტან, ხანაც ვერა.

**— რაც უნდა ვთქვათ, საქართველოს ჩემპიონი ყაზახეთის ჩემპიონთან ასეთი ანგარიშით არ უნდა აგებდეს...**

— ჩემი აზრი ასეთია: როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს ქართული ფეხბურთი, ყაზახურ გუნდებთან მარცხს არანაირი გამართლება არ მოეძებნება.

**— რატომ გადაწყვიტეთ რევაზ ჯიქიას სასტარტო შემადგენლობაში დაყენება?**

— თითქმის ყველა თავდამსხმელი ერთი დონისა გვყავს და მეც ჯიქიას ვენდე. სამწუხაროდ, მან ვერც გოლი გაიტანა და თან წითელი ბარათიც მიიღო.

**— მატჩის პროგრამას ნახავდით. იქ საქართველოს რუკას აფხაზეთი, სამაჩაბლო და აჭარა აქვს ჩამოჭრილი...**

— ვნახეთ და აღშფოთებულები ვართ — აფხაზეთი, სამაჩაბლო და აჭარა ჩვენი რუკიდან ამოჭრილი ჰქონდათ ყაზახებს. ვერ გეტყვით, ეს რატომ გააკეთეს, ერთი კი ფაქტია, ამის ნახვა ძალიან მტკივნეული იყო. პროტესტის ნიშნად, არც ერთი პროგრამა აღარ წამომიღია, არადა, ასეთ რამეებს ბავშვობიდან ვაგროვებ.

**— კლუბის ხელმძღვანელობასთან თუ ისაუბრეთ ნამატჩევს?**

— დღეს ვისაუბრეთ და ჩვეულებრივად ვაგრძელებთ ახალი სეზონისთვის მზადებას. დღესვე ვარჯიშიც გვქონდა — რამდენიმე ფეხბურთელს ტრავმა აქვს და არ უვარჯიშია. 30 ივლისს კი აზერბაიჯანულ გუნდთან ამხანაგურ მატჩს გავმართავთ და ვეცდებით, საქართველოს ჩემპიონატს მზად შევხვდეთ.

**— ბევრისგან გვესმის, რომ თქვენს საქმეში კლუბის ხელმძღვანელები ერევიან. რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსგავსი რამ არ ხდება. მე მხოლოდ ჩემი თანაშემწეების აზრს ვითვალისწინებ. შემადგენლობა თუ სხვამ შეარჩია და ტაქტიკური გადაადგილებებიც მან გააკეთა, მაშინ მე რაღა საჭირო ვარ?! ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა და თუ იქნება, რუსთავის „ოლიმპიდან“ დაუყოვნებლივ წავალ!

**— რომელიმე ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყენებას ხომ არ აპირებთ?**

— ყველა ფეხბურთელი, ვინც გუნდში ირიცხება, ჩვეულებრივად გააგრძელებს ჩვენთან თამაშს. ამ ეტაპზე არც ახალი ფეხბურთელების დამატება იგეგმება.

**— და რა იქნება „ოლიმპის“ მიზანი ახალ სეზონში?**

— ჩვენ სულაც არ ვაპირებთ ყურების ჩამოყრას და უფრო მეტი შემართებით ვხვდებით ახალ სეზონს — რუსთავის „ოლიმპი“ მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**ნუკრი ლოლაძე**

# დღეს აუქციონის დღეა

## ბოლო ვერსია: მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის შეძენა სამ კომპანიას სურს




**დღეს** მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის 30-წლიანი მართვის უფლებით გადასაცემად აუქციონი გაიმართება.

სტადიონის ყიდვა სამ კომპანიას სურს, რომლებმაც თავიანთი ბიზნესგეგმები უკვე წარადგინეს ქალაქ თბილისის მერიაში და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.

გამარჯვებული კომპანია თბილისის მერიას წლიურ საიჯარო ქირას — 350 ათას ლარს გადაუხდის და თან ვალდებულია, 2 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელოს, რაც უმთავრესად მინდვრის საფარის მოწყობას და სტადიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას უნდა მოხმარდეს.

სავარაუდო გეგმის მიხედვით, მყიდველმა კომპანიამ ვაკური სარბიელის მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმრო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსიც უნდა ააშენოს.

**ილია ნანობაშვილი**


სულიკო დავითაშვილის გოლი

ბადრი ქათიაშვილის ფოტო

# ამერმა ამერული მეორეში დაგვანახა

**თბილისის** „ამერმა" საქართველოში შეკრებაზე ჩამოსულ ზაქათალის „სიმურგს" პირველი მარცხი აგემა: აზერბაიჯანელებმა მანამდე თბილისის „ლოკომოტივთან" 4:4, „დინამოსთან" კი 1:1 ითამაშეს.

სათამაშო უპირატესობის და საგოლე მომენტების მიხედვით, „ამერს" 2:1-ზე ფერიანი ანგარიშითაც უნდა მოეგო, თუმც პირველი ტაიმის შემდეგ „მიხეილ მესხის" ტაბლოზე 0:1 ენთო...

გიორგი ჩიხრაძემ ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

*ქვაჩახია, კობაური, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დიდავა (დობროვოლსკი 72), ჯელაძე (შალამბერიძე 72), ბოლქვაძე (დეკანოსიძე 72), ა. ალავიძე (დოლიძე 58), რ. გოცირიძე (ს. დავითაშვილი 58), ტატანაშვილი (გ. ცხადაძე 78).*

როგორც ხედავთ, „ამერის" თავკაცმა მეკარე და დაცვის ოთხეული შეუცვლელად ათამაშა.

ძირითადი თერთმეტეული ოპტიმალურთან მიახლოებული იყო, პოლონურ „ბელხატუვთან" მატჩისგან განსხვავებით, დაცვის ფლანგები იყო შეცვლილი, ასევე ძირითადში გამოჩნდნენ მარცხენა ნახევარმცველი არჩილ ალავიძე და ფორვარდი დიმიტრი ტატანაშვილი. საყრდენ შუახაზელად კი დენის დობროვოლსკის ნაცვლად გივი დიდავამ ითამაშა.

თავიდან ნახევარი საათი ძალიან დუნე თამაში იყო, მერე კი რევაზ გოცირიძეს შეექმნა ორი მომენტი, მაგრამ ჯერ დავით ბოლქვაძის პასით პირისპირ გაჭრილმა მეკარეს გაარტყა, მერე კი მხოლოდ კუთხურს გამორჩა.

ტაიმის ბოლოს კი „სიმურგმა" კუთხური ჩააწოდა, მაზიარმა ერთი შეხებით დაუგდო ბურთი გამბაზოვს და მანაც ახლოდან გაიტანა — 0:1.

მეორე ნახევარში სულ სხვა „ამერი" ვნახეთ — პირველივე წუთიდან „ყვითლები" ლონივრად ათამაშდნენ და ალავიძე-გოცირიძემ როგორ ვერ გაიტანეს, თავადაც ვერ მიხვდებიან: გიზო ჯელაძემ საჯარიმოში ორი კაცი იოლად მოატყუა, იდეალური პასიც გააკეთა და მხოლოდ ბურთზე ფეხის შეხებაღა იყო საჭირო. შეახეს კიდეც, მაგრამ კარის ხაზიდან უკან გამოიტანეს...

აქ დავით ბოლქვაძეც ათამაშდა და ორჯერ შორეული დარტყმებით აცილა.

მომწიფებული გოლი კი 53-ე წუთზე დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა — გიორგი ელბაქიძის მარცხნიდან ჩაწოდებული, ერთი შეხებით, ტექნიკურად შეაგდო — 1:1.

67-ე წუთზე ჯელაძემ გაისეირნა მეტოქის საჯარიმოში, შეცვლაზე შესულ სულიკო დავითაშვილს გადააწოდა და „აბრეზამაც" აზერბაიჯანელთა მცველებს შორის გაასრიალა ბურთი — 2:1.

„სიმურგი" არც მანამდე თამაშობდა ხავერდოვან ფეხბურთს და ორი გოლის გაშვების შემდეგ ძალიან აიშვეს, უხეშობას მიჰყვნენ.

მათი უკრაინელი მწვრთნელი სულ მსაჯს ებუზღუნებოდა, რომელმაც მაუდინი საჯარიმო დარტყმისას 9-მეტრიანი დისტანციის გაზომვისთვის ჯერ გააფრთხილა, მერე კი გააძევა.

ამხანაგური მატჩიდან გამომდინარე, „სიმურგმა" თერთმეტი კაცით გააგრძელა თამაში — მაუდინი სხვამ შეცვალა.

მერე იყო და, ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ტატანაშვილს აუხირდა და მინდორზე ფეხბურთელ-მწვრთნელებიც შევიდნენ ვითარების დასაწყნარებლად.

...თამაში კი ისევ „ამერისა" იყო. „სიმურგმა" დაცვა მოაშიშვლა და „ყვითლების" შეცვლაზე შემოსულებს, დავითაშვილს, დოლიძეს და ცხადაძეს ცოტა დაკვირვებით რომ ეთამაშათ, მესამესაც გაიტანდნენ, თუმცა ისიცაა, რომ მეორე ტაიმის „ამერი" შესვენებამდელ „ამერს" ორი თავით სჯობდა.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს მეტოქემ მეზობელთან წაივარჯიშა

**22 აგვისტოს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2009 წლის შესარჩევი ეტაპის მეორე მატჩს სტუმრად გამართავს პოლონეთის ნაკრებთან.

ამ გუნდების გარდა ჯგუფში ესპანეთის, რუსეთისა და ყაზახეთის ნაკრებებიც არიან.

22 აგვისტოსვე რუსეთის ნაკრები ყარაგანდაში ყაზახებს ესტუმრება, რომლებმაც ამ შეხვედრამდე ერთი სპარინგის გამართვა უკვე მოასწრეს — შუააზიელები მეზობელ ყირგიზეთს გაეჯიბრნენ და 8:0 მოუგეს.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფში ჯერ მხოლოდ ერთი მატჩია გამართული — საქართველომ ესპანეთთან შინ 0:1 წააგო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვადუცელებმა შვეიცარიაც ცუდად დაიწყეს

**სანამ** თბილისის „დინამო" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩამდე ტესტ-თამაშებით ვარჯიშობს, მისი მეტოქე, ლიხტენშტაინური „ვადუცი" შვეიცარიის ჩემპიონატში ჩაება.

ჩელენჯლიგაში უკვე მეორე ტური გაიმართა, თუმც „ვადუცმა" მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა — პირველი ტურის შეხვედრა სწორედ „დინამოსთან" თამაშის გამო გადაედო.

თბილისელთა მეტოქეს სტარტი ხეირიანი ვერ გამოუვიდა — „ვადუცი" სტუმრად 1:3 დამარცხდა „ბელინცონასთან".

„ჯუჯათაგან" გოლი გასპარმა გაიტანა, რომელსაც თბილისში არ უთამაშია.

ლიხტენშტაინელებმა ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ხომერი, ჩერონე, რიცბერგერი, ზომბიჩი, აკდემირი (როჰრერი 76), ალეშანდრე, ვიეცორეკი, მაჯეტი (პოლვერინო 71), სუტერი, გასპარი, გროსკლაუსი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


„ვადუცის" თავკაცი ჰანს ჰერმანი

# სიხარულის ხუთი დღე



**არაფერი** ისე არ აცოცხლებს გარემოს, როგორც ბავშვების ბურთაობა-ყიჟინა და თუ გარემოც განსაკუთრებულია...

მშვენიერი საჩუქარი უძღვნა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ ზემო აფხაზეთის სოფლების მოზარდებს — სიხარულის ხუთი დღე, ანუ საფეხბურთო ტურნირი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თასზე.

ოთხგუნდა ტურნირში ყველას აჯობა სოფელ აჟარის გუნდმა, რომელიც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ მალხაზ აქიშბაიამ დააჯილდოვა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თასითა და დიპლომებით.

უჯილდოოდ არც მეორე-მესამე ადგილებზე გასული ჩხალთელები და გენწვიშელები დარჩნენ. საგანგებო პრიზები გადაეცათ გამორჩეულ მოთამაშეებსაც.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის წევრები, იქ მომუშავე უცხოელი დამკვირვებლები, ხეობაში დისლოცირებული შსს თანამშრომლები და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მკვიდრნი.

იმავე დღეებში, 19-23 ივლისს, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ სახალისო ფეხბურთის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებიც გამართა 64 მოზარდისა და 4 ადგილობრივი მწვრთნელის მონაწილეობით, რომლებიც ფორმებით და ბურთებით დასაჩუქრდნენ.

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# ზაპორათი უკეთესია

**პიუნიკი** (სომხეთი) 2:0 **დერი სიტი** (ირლანდია) (0:0)

1:0 ავეტისიანი (29), 2:0 ხაზარიანი (67)

**ვენტსპილსი** (ლატვია) 2:1 **ნიუ საინტსი** (უელსი) (2:3)

1:0 ნდეკი (19), 2:0 კაცანოვი (53), 2:1 ჰოგანი (90)

**ლევადია** (ესტონეთი) 0:0 **პობედა** (მაკედონია) (1:0)

**ტამპერე** (ფინეთი) 2:0 **მურატა** (სან მარინო) (2:1)

1:0 პეტრესკუ (6), 2:0 ნიემი (21)

**ელფსბორგი** (შვედეთი) 1:0 **ლინფილდი** (ჩრდ. ირლანდია) (0:0)

1:0 სვენსონი (32)

**HB ტორსჰავნი** (ფარერები) 0:0 **ჰაფნარფიორდური** (ისლანდია) (1:4)

**ჟილინა** (სლოვაკეთი) 5:4 **დუდელანჟი** (ლუქსემბურგი) (2:1)

1:0 დევატი (9), 2:0 ლიეტავა (11), 3:0 სტივარი (29), 3:1, 3:2 გრეგორიო (40, 50), 4:2 ვომაცკა (64), 4:3 გუტლებერა (72), 5:3 სტივარი (75), 5:4 ლუკიჩი (82)

**ტირანა** (ალბანეთი) 1:2 **დომჟალე** (სლოვენია) (0:1)

0:1 ლიუბიჟანკიჩი (31), 1:1 დურო (75), 1:2 ზაპორა (77)

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

პიუნიკი (სომხეთი) — შახტარი (უკრაინა)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — ლევადია (ესტონეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია) — ზეტა (ჩერნიგორია)
დებრეცენი (უნგრეთი) — ელფსბორგი (შვედეთი)
ზაგლებე (პოლონეთი) — სტიაუა (რუმინეთი)
გენკი (ბელგია) — სარაევო (ბოსნია)
ვენტსპილსი (ლატვია) — ზალცბურგი (ავსტრია)
ასტანა (ყაზახეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) — ბატე (ბელარუსი)
კოპენჰაგენი (დანია) — ბეითარი (ისრაელი)
ჟილინა (სლოვაკეთი) — სლავია (ჩეხეთი)
ტამპერე (ფინეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)
დომჟალე (სლოვენია) — დინამო (ხორვატია)
ბეშიქთაში (თურქეთი) — შერიფი (მოლდოვა)

I მატჩები გაიმართება 31 ივლისს, საპასუხოები — 7-8 აგვისტოს

**სლოვაკური** „ჟილინას" სტადიონზე მაყურებელმა გვარიანად იხალისა — ოთხი გოლი პირველ ტაიმში ნახეს და ხუთი მეორეში.

მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში მასპინძლებმა სამის გატანა მოასწრეს და „დუდელანჟი" თავის დაკრულ დუდუკზე აცეკვეს, მაგრამ ამ ცეკვა-თამაშში სტუმრებმა კინაღამ გაათანაბრეს. ლუქსემბურგელმა იორის დი გრეგორიომ შესვენებამდე და შესვენების შემდეგ თითო გოლი შეაგდო და სხვაობა ერთამდე შეამცირა.

ამით შეფუცხუნებული „ჟილინა" ისევე ათამაშდა, როგორც პირველ ტაიმში. ვომაცკიმ მეოთხე გაუტანა „დუდელაჟნის", თუმც გუტლებერა ვალში არ დარჩა და სხვაობა კვლავ შემცირდა.

ამ გოლიდან ორ წუთში სტივარმა მეხუთედ გამოატანინა ბურთი კარიდან სტუმართა მეკარეს, რომლის ჟილინელმა კოლეგამაც იგივე გააკეთა შვიდი წუთის შემდეგ — ლუქსემბურგელმა ლუკიჩმა მატჩში ბოლო გოლი მიითვალა.

„დომჟალემ" მეორე შეხვედრაც მოუგო „ტირანას" და მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე მეზობელი ხორვატიის „დინამოს" დაეჯახება.

ზლატან ლიუბიჟანკიჩმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში და ალბანელმა კლოდიან დურომ შესვენების შემდეგ გაათანაბრა, რითაც მასპინძლებს შანსი გაუცოცხლა, მაგრამ დარიო ზაპორას გოლმა უმალ მოკლა „ტირანას" იმედი.

ზაპორა „დომჟალეს" ლიდერია და პირველი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

„როცა ის თამაშობს, გუნდი გაცილებით უკეთ გამოიყურება" — თქვა სლოვენიელთა მწვრთნელმა სლავიშა სტოიანოვიჩმა.

ორი მატჩის ჯამში 4:4 და ლატვიური „ვენტსპილსი" სტუმრად მეტი გატანილის წყალობით წყვილიდან გავიდა.




ჟან პოლ ნდეკისა და დენის კაცანოვის თავური გოლებით „ვენტსპილსი" ერთი საათის თავზე 2:0-ს უგებდა „ნიუ საინტსს" და ბოლოსლა ანერვიულდა, როცა უელსელმა ჰოგანმა ერთი გაქვითა. მეორის გასატანად სტუმრებს დრო აღარ ეყოთ.

უგოლო პირველი მატჩის მერე „პიუნიკმა" ირლანდიური „დერი სიტის" დაცვა სომხეთში გატეხა. არსენ ავეტისიანის დარტყმული პატ ჯენინგსმა მოიგერია, მაგრამ დამრტყმელმა საგოლედ დაამატა. მეორე ტაიმში სიტელებს ერთი მომენტი ჰქონდათ და დარენ კელის თავურის შემდეგ ბურთი ძელს დაეჯახა. ამას კი გევორგ ხაზარიანის გოლი მოჰყვა, რომელმაც მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს ჯენინგსის კარში მიუჩინა ადგილი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უეფამ პარტიზანი უეფადან მოკვეთა

**ბელგრადის** „პარტიზანი" უეფას თასის გათამაშებიდან მოკვეთეს — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო უეფას სადისციპლინო კომიტეტმა.

„პარტიზანი" თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში მეზობელი ბოსნიის „ზრინსკი მოსტარს" სტუმრად შეხვდა და 6:1 მოუგო, თამაშის დასაწყისშივე შეხვედრა 10 წუთით შეჩერდა, რადგან ბელგრადელმა ფანებმა ბოსნიელებს და პოლიციელებს სკამების სროლით ომი გამოუცხადეს.

36 კაცი დაშავდა, ექვსი კი დააპატიმრეს.

ნამატჩევს პოლიციას გვარიანი გარჯა დასჭირდა ადგილობრივების დასაშოშმინებლად, რომლებიც სტუმარი ფანების საცემრად იწევდნენ.

„პარტიზანი" ერთი წლით მოკვეთილია უეფას თასიდან და დაჯარიმებული 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით — ნათქვამია უეფას განცხადებაში — ბელგრადული კლუბი ბოლო 36 საევროთასო მატჩიდან 25-ჯერ დავაჯარიმეთ ფანების უმსგავსობის გამო და ამიტომაც იმსახურებს ასეთ მკაცრ სასჯელს".

უეფამ „პარტიზანს" გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება დაუტოვა, „ზრინსკი მოსტარი" კი პირდაპირ გავიდა მომდევნო ეტაპზე.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ანელკას ყვითელი მომავალი

**„მარკას"** ცნობით, ესპანურ „ვილიარეალს" უნდა, ინგლისური „ბოლტონიდან" ნიკოლა ანელკა შეიძინოს.



„ყვითლები" „რეალიდან" ჟულიო ბაპტისტას გადაბირებას აპირებდნენ, მაგრამ ეს ტრანსფერი არ გამოდის და ამიტომ მიადგნენ ანელკას.

„ბოლტონის" თავკაცმა სემი ლიმ ამას წინათ განაცხადა, რომ ფორვარდს იმ შემთხვევაში შეელევა, თუ მის სანაცვლოდ სათანადო თანხას გადაუხდიან.

„ვილიარეალში" ახლა სამი ფრანგი თამაშობს — პასკალ სიგანი, რიო მავუბა და რობერ პირესი.

**ვაჟა ხუციშვილი**

## სიტი ბულგარული წიწაკით

**მადრიდის** „ატლეტიკოს" ბულგარელი ნახევარმცველი მარტინ პეტროვი „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა. მის სანაცვლოდ 4 მილიონ 700 ათასი გირვანქა გადაიხადეს.

28 წლის ფეხბურთელმა გუშინ გაიარა სამედიცინო შემოწმება და როგორც კი ბრიტანეთში სამუშაო ვიზას მიიღებს, კონტრაქტს გაუფორმებენ.

ეს უკვე მეოთხე შენაძენია „სიტისა", რომელსაც სვენ გორან ერიკსონი თავკაცობს. კლუბის პატრონი კი ტაილანდელი ტაქსინ შინავატრაა.

პეტროვამდე მანჩესტერელებმა როლანდო ბიანკი, ჯოვანი და ჟელსონ ფერნანდესი იყიდეს.

## ნაწვალები ვილჰელმსონი

**შვედი** ნახევარმცველი კრისტიან ვილჰელმსონი „ნანტმა" „ბოლტონს" ერთი წლით დაუთმო. წინა სეზონში ფეხბურთელი „რომაში" იყო განათხოვრებული.

ინგლისურმა კლუბმა კრისტიან ვილჰელმსონის გამოსყიდვის უფლებაც მიიღო. მან შეიძლება ხვალ „ტრანმერთან" ამხანაგურ მატჩში ითამაშოს.

„კარგა ხანს ვიწვალეთ ამ ტრანსფერის მოსაგვარებლად და ჩვენი მოთმინება დაფასდა" — თქვა „ბოლტონის" მთავარმა მწვრთნელმა სემი ლიმ.

## ძარცვა ლონდონში

**ინგლისის** ნაკრების ორი ყოფილი ფეხბურთელი, რობერტ ლი და უორენ ბარტონი გუშინწინ ლონდონში დააკავეს, რადგან ეჭვმიტანილები არიან ავტომობილის გატაცებაში.

41 წლის ლი და 38-ის ბარტონი 90-იან წლებში „ნიუკასლში" თამაშობდნენ.

პოლიციის განცხადებით, მათ „მერსედესი" გაიტაცეს და გზაზე გაჩერებულ ფურგონს დაეჯახნენ.

„მერსედესიდან" წაღებულია სატელიტური ნავიგაციის სისტემა და მობილური ტელეფონი.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბრაზილია

**სერია A**

**XIV ტური**

ატლ. პარანენსე — კრუზეირო 2:2; გოიასი — სანტოსი 1:0; ფლამენგო — ამერიკა 3:1; ნაუტიკო — გრემიო 0:2; ფიგეირენსე — კორინთიანსი 2:2; ინტერნასიონალი — პარანა 1:0; პალმეირასი — ვასკუ და გამა 3:2

# სერ იოზეული ანალიზი

## პირველი და მეორე არგენტინული ფრონტი

**ალექს ფერგიუსონმა** განაცხადა, რომ მზად არის, კარლოს ტევესის კონტრაქტს ძალიან დიდ ხანს ელოდოს მოთმინებით და განმარტა კიდეც, რატომ არის ასე, თუმცა ეს ხომ ისედაც იოლი მისახვედრია: მას 23 წლის არგენტინელი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად მიაჩნია.

გაჭიანურებით კი ტევესის ტრანსფერი „ვესტ ჰემიდან“ იმიტომ ჭიანურდება, რომ ფეხბურთელს გარდა ლონდონური კლუბისა, კია ჯურაბჩიანის ფირმასთანაც აქვს კონტრაქტი და ველარ გაირკვა, ვის უნდა გადაუხადონ მანჩესტერელებმა თანხა, რომელიც საკმაოდ დიდია.

„ყველაფერი ძალიან მარტივია, უმაღლესი დონის თავდამსხმელები სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდებიან, ასე რომ, როდესაც ასეთი გამოჩნდება, მის ხელში ჩასაგდებად ყველა ღონე უნდა იხმარო. ინგლისში თამაშისას კარლოსმა დაამტკიცა, რომ უდიდესი მონაცემების მქონე ფეხბურთელია. ის უდიდესი ძალა იყო გუნდისთვის, რომელიც მის გარეშე პრემიერლიგაში ადგილს ვერ შეინარჩუნებდა...

...სამხრეთ ამერიკიდან ჩამოსულ ფეხბურთელებს ხშირად ადაპტაციის პრობლემა აქვთ. ტევესის შემთხვევაში, არა მგონია, ასე იყოს. აქ არანაირ დებიუტზე არ არის საუბარი“.

თუ ტევესის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის პრობლემა მოგვარდება, ალექს ფერგიუსონს შეტევაში დიდი მუხტი დაუგროვდება. არგენტინელი უეინ რუნის მხარდამხარ ითამაშებს თავდასხმაში, ხოლო კრიშტიანუ რონალდუ პარტნიორებს მოედნის სიღრმიდან დაუჭერს მხარს.

„ჩვენი თავდამსხმელები ძალიან მობილურნი, ძალ-ღონით სავსენი და სწრაფები არიან. კარლოსი შუიდან შემტევი ღონიერი ფეხბურთელია. ერთხელ თუ ორჯერ ის ფრთაზე გადაწეულიც მინახავს, მაგრამ ეს მისი მოწოდება არ არის. ის ყველაზე კარგად ცენტრალური თავდამსხმელის საქმეს ასრულებს, ფრთაზე კი პრობლემა არ გვაქვს, იქ რონალდუ გვეყოლება“.

შეგახსენებთ, რომ ტევესის საქმე უმაღლესმა სასამართლომ უნდა გაარჩიოს. ამ ინსტანციაში ზემოხსენებულმა კია ჯურაბჩიანმა იჩივლა.

„ახლა უფრო მშვიდად ვარ. მისი აგენტი დარწმუნებულია, რომ უმაღლესი სასამართლო საქმეს ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტს — განაგრძო ფერგიუსონმა — უმაღლესი სასამართლო ის ადგილია, სადაც თუ მართალი არ ხარ, ვერ გაიმარჯვებ, ხოლო რადგანაც ჯურაბჩიანი სწორედ ამ ინსტანციას მიმართავს, ესე იგი, მის პოზიციაში საეჭვო საერთოდ არაფერია. იმედი მაქვს, რომ ვითარება ტრანსფერებისთვის გამოყოფილ დროში მოგვარდება, მაგრამ მეორე მხრივ, რამდენიც უნდა დაგვჭირდეს, მოვითმენთ. ახლა, როდესაც აქამდე შევტოპეთ, უკან ველარ დავიხევთ. ტევესის ყიდვა შარშანაც გვინდოდა, მაგრამ შარშან ვერ გავბედეთ, რადგან მის ხელშეკრულებებში ბოლომდე არ ვიყავით გარკვეული“.

ამავდროულად, ფერგიუსონი კიდევ ერთ არგენტინულ ფრონტზე იბრძვის — მას არ სურს, თავისი გუნდის მარცხენა მცველი გაბრიელ ჰაინცე „ლივერპულს“ მიჰყიდოს.

„ლივერპულელები, ისევე, როგორც პრემიერლიგის სხვა გუნდები, ჩვენი მეტოქეები არიან. ჰაინცეს ვარიანტი მათ აგენტმა ჩააწვეთა და ისინიც, ცხადია, ჩაებღაუჭნენ. ეს იგივეა, აგენტი ჩემთან რომ მოსულიყო და, მაგალითად, სტივენ ჯერარდის ვარიანტი შემოეთავაზებინა, თან საკმაოდ მისაღებ ფასად. მე, რასაკვირველია, ჩემსას ვცდიდი, მაგრამ ამ ისტორიაში ერთი მთავარი საკითხია — ჰაინცე „ლივერპულის“ კი არა, ჩვენი ფეხბურთელია, ხალხი კი რატომღაც ისე იქცევა, გეგონება, ის მერსისაიდელთა საკუთრება იყოს...

...მას, ხელშეკრულების თანახმად, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს. თუ ამ ვადის შემდეგ რომელიმე გუნდში გადავა, გზა დაგვილოცნია. ჩვენც ძალიან კმაყოფილები ვიქნებით, რადგან გამოვა, რომ მისი ნიჭით ხუთი წელიწადი ვისარგებლეთ და 31 წლისას დავემშვიდობეთ“.

ასეთ დროს, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, რომ ფეხბურთელი, რომელიც ამა თუ იმ გუნდში ძალად დატოვეს, მოძალადე გუნდისთვის ველარ მოინდომებს, მაგრამ ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ ჰაინცე „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ თავდადებული იქნება.

„ხალხს თავდადებული ფეხბურთელების ნახვა სურს და გაბრიელიც სწორედ ასეთია. გარკვეული თვალსაზრისით, მას მეომარიც კი შეგვიძლია ვუწოდოთ. როდესაც ის მიხვდება, რომ არსად ვუშვებთ და დაგვიბრუნდება, გარწმუნებთ, მოედანზე ძველებური თავდაუზოგავით გავა“.

მაშ ასე, ჰაინცეს არსად უშვებენ, თავდასხმაში რუნისა და რონალდუს, სავარაუდოდ, ტევესიც ემატება, გამოდის, რომ პრემიერლიგის მოახლოვებული სეზონის ნომერ პირველი ფავორიტის ვინაობა ცნობილია, თუმცა ფერგიუსონი არც „ჩელსისა“ და „ლივერპულს“ ივიწყებს, ხოლო „არსენალს“, მისი აზრით, ტიერი ანრის წასვლა მხოლოდ გააძლიერებს.

„ანრი „არსენალმა“ ახლა კი არა, დეკემბერში დაკარგა, ასე რომ, ადაპტაციის პერიოდი ამ გუნდს უკვე გავლილი აქვს. ორი აზრი არ არის, არსენმა კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა და ყველაფერს გეგმაზომიერად აკეთებდა. ერთი სიტყვით, „არსენალისგან“ ამ სეზონში უკეთეს თამაშს ველი. მათ ხომ მარჯვენა მცველი, თავდამსხმელი და ნახევარმცველი იყიდეს. ველი, რომ ლონდონელები უფრო შეკრულნი გამოჩდებიან, ხოლო თავდამსხმელის ყიდვამ იმაზე მიგვანიშნა, რომ ისინი გოლების რაოდენობით არ იყვნენ კმაყოფილნი და უნდათ, რომ ეს ნაკლი გამოასწორონ. კიდევ, მათ ადებაიორი და ვან პერსი ჰყავთ, ასე რომ, სასტი გუნდი აღარ გამოდის, ხომ მართალია?“

ამასობაში კი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალ შენაძენს, მიუნხენის „ბაიერნიდან“ გადმოყვანილ ოუენ ჰარგრივზს დებიუტის გადადება მოუხდა. მყესების პრობლემამ მას მოსამზადებელ პერიოდში, ამხანაგურ შეხვედრებში მონაწილეობის საშუალება არ მისცა.

„თავი მომაბეზრა ამ პრობლემამ — თქვა ჰარგრივზმა ჟურნალისტებთან საუბრისას — მაგრამ უნდა გავმაგრდე, სხვა გზა არ არის“.

**ბაჩუნა ძიდია**




ითამაშებენ კარლოს ტევესი და გაბრიელ ჰაინცე ერთად?

# რატომ არის პრემიერლიგა ფერადი?

**ახლოვდება** დალოცვილი პრემიერლიგა: „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა „ჩელსის“ თავკაც ჟოზე მაურინიუს შეუთვალა, ენას მართლა თუ აღარ ატლიკინებ, ძალიან კარგი იქნებაო და ზედ პორტუგალიელისადმი დიდი სიმპათიებიც დაურთო.

შეგახსენებთ, რომ ორიოდ დღის წინ მიცემულ ინტერვიუში ლონდონელთა მწვრთნელმა განაცხადა, ამიერიდან არავისზე არაფერს ვიტყვი, რადგან კარგი კაცი ვარ და მინდა, იმიჯიც შესაბამისი მქონდესო.

მოკლედ, მოსაწყენად ამ გაგანია ზაფხულშიც არ გვცალია.

„ვფიქრობ, მაურინიუ თუ მართლა ნაკლებს ილაპარაკებს, ძალიან კარგი იქნება. ბევრი ლაპარაკით ის, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს უქმნიდა ბევრ პრობლემას, არადა, ჭკვიანი კაცია. ის მიხვდა, რომ მისი ყოველი სიტყვა მიზანმიმართული უნდა იყოს, მისი საქმის სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს. ის, როგორც გონიერი ადამიანი, მიხვდა, რომ მის ადრინდელ გამონათქვამებს ყოველთვის მისთვის სასურველი ინტერპრეტაცია არ ჰქონდა“ — თქვა ფერგიუსონმა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ მაურინიუს დამოკიდებულება მისი გამონათქვამების უარყოფითმა შედეგმა შეაცვლევინა. თან, უარყოფითი შედეგი პირადად მას კი არა, მის საქმეს, მის გუნდს, „ჩელსის“ შეეხო.

„მას აშკარად არ ესიამოვნა, რომ ყველაფერმა ანტირეკლამის სახე მიიღო და ჭკუა ისწავლა. რაც შეეხება პირადად ჩემს დამოკიდებულებას მისადმი, მე მაურინიუ მომწონს, მან პრემიერლიგას ფერები შესძინა. სხვათა შორის, თავიდან მან იმიჯის თვალსაზრისითაც იყოჩაღა. ის ახალგაზრდა იყო და გაბედულად შემოვარდა საფეხბურთო ცხოვრებაში. ამ გაბედულებას ასხივებდა მისი ყოველი კომენტარიც. მერედა, მან ბევრ ადამიანს თავი შეაყვარა კიდეც. ახლა კი ის, ვიმეორებ, ძალიან კარგად იქცევა და დამოკიდებულებათა ასეთ ცვლილებებში ცუდი ნამდვილად არაფერია“.

მაგრამ, ნათქვამია, კუზიანს სამარე გაასწორებსო — გახსოვთ, რა ეწერა გუშინდელ „სარბიელში“? ჟოზე მაურინიუს „ლივერპულისა“ და რაფა ბენიტესის შესახებ გაკეთებული კომენტარები მაქვს მხედველობაში — ბენიტესი სამი წელიწადია, „ლივერპულს“ ხელმძღვანელობს და პრემიერლიგის ტიტული ვერა და ვერ მოუგიაო...

**ბაჩუნა ძიდია**







# რა ჩემი საქმეა
## რაიკარდმა ლამპარდი იუარა

„ბარსელონას“ მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა უარყო დაჟინებული ჭორები იმის თაობაზე, რომ კატალონიელები „ჩელსის“ ნახევარმცველ ფრენკ ლამპარდის ყიდვას აპირებენ.

მოგეხსენებათ, ლამპარდს „ჩელსისთან“ კონტრაქტი ჯერ არ განუახლებია, ხოლო „ბარსას“ ბრაზილიელმა ვარსკვლავმა რონალდინიომ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ 29 წლის ინგლისელს სიამოვნებით იხილავდა „კამპ ნოუზე“.

ბრაზილიელმა, რომელიც გუნდთან ერთად „დანდი იუნაიტედთან“ და „ჰართსთან“ ამხანაგური მატჩების სათამაშოდ შოტლანდიაშია, თქვა:

„ლამპარდი დიდი ფეხბურთელია, რაც მან „ჩელსიში“ უკვე დაამტკიცა. ცხადია, მე სიამოვნებით ვითამაშებდი „ბარსელონაში“ მის, ისევე, როგორც ნებისმიერი დიდი ფეხბურთელის მხარდამხარ“.

რაიკარდმა, თავის მხრივ, რონალდინიოს აღფრთოვანება გაიზიარა, თუმცა დასძინა, რომ ინგლისელი ვარსკვლავის ესპანეთში წაყვანის შანსი მცირეა.

„რაც რონალდინიომ თქვა, სწორია, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი ფეხბურთელის შესახებ გამოთქმული შეხედულებაა. არ მინდა, ლამპარდზე უფრო მეტი ვილაპარაკო, რადგან ასე რომ მოვიქცე, ხვალ ყველა გაზეთში ვიხილავთ ცნობას, რომ „ბარსელონა“ მის ყიდვას ცდილობს და საამისოდ კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. ამჟამად, ჩვენ ჩვენს განკარგულებაში მყოფ ფეხბურთელთა ჯგუფთან ვმუშაობთ, ხოლო სხვა დიდ ფეხბურთელებსა და მათ კლუბებს პატივს ვცემთ. ერთი სიტყვით, ფრენკ ლამპარდი საუცხოო მოთამაშეა, მაგრამ სხვა გუნდების წევრებზე საუბარი ჩემი საქმე არ არის“.

**ბაკუნა ძიდია**

# მოყვარული სანდრო



სანდრო ვაგნერი და ფრანკ რიბერი

**გერმანია**

**ლიგის თასის**

**ნახევარფინალი**

**შტუტგარტი 0:2 ბაიერნი**

0:1 რიბერი (8), 0:2 ვაგნერი (66)

**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ბეკი (ევერტონი 61), ფ. მეირა, გლედსონი, ბოკა, მაისნერი (ჰიცლშპერგერი 55), ჰილბერტი, ხედირა, და სილვა (მანდიეკი 88), ა. ფარნერუდი, კაკაუ

მწვრთნელი: არმინ ფეე

**ბაიერნი:** რენსინგი, ლამი, ლუსიო, ვან ბუიტენი, იანსენი, ვან ბომელი (ოტლი 63), ზე რობერტო, ჰამიტ ალტინტოპი, რიბერი, შვაინშტაიგერი, ს. ვაგნერი (ლელი 83)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: მეირა, ვან ბომელი

მსაჯი: რაფატი

45 500 მაყურებელი

**ფინალი: 28 ივლისი**

**შალკე — ბაიერნი**

**ფრანკ რიბერიმ** ისევ გაიბრწყინა. 24 წლის ფრანგმა გაიტანა და საგოლე პასი გაუკეთა ექვსი წლით უმცროს სანდრო ვაგნერს, რომელიც პირველად იყო ძირითად შემადგენლობაში. გერმანელი ფორვარდი „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდში თამაშობს და იმის გამო უხმეს, რომ ლუკა ტონი ტრავმირებულია, მიროსლავ კლოზე კი ფორმაში არ იყო.

ოტმარ ჰიცფელდმა ერთი თავდამსხმელით გაიყვანა გუნდი და მაინც დაარიქა გერმანიის ჩემპიონი. თუმცა არმინ ფეეს „შტუტგარტსაც“ აკლდა რამდენიმე მთავარი ფეხბურთელი — მათ შორის, მეგოლე მარიო გომესი.

შტუტგარტელებმა მთელი მატჩის განმავლობაში ორ-სამჯერ შეაწუხეს მეკარე მიხაელ რენსინგი, „ბაიერნი“ კი მრავალფეროვნად უტევდა.

მე-8 წუთზე რიბერიმ ვაგნერისგან პასი მიიღო და დაახლოებით 25 მეტრიდან მარცხენა ცხრიანში გაუტანა რაფაელ შეფერს. ამის მერე ჰამიტ ალტინტოპის დარტყმული მოხვდა ძელს, ხოლო ვაგნერს, რომელსაც ნერვიულობა ეტყობოდა, შეფერმა რამდენიმე ბურთი აული. ახალგაზრდა ფორვარდს გარჯა მეორე ტაიმში დაუფასდა და 66-ე წუთზე ახლოდან შეაგდო „შტუტგარტის“ კარში.

„ბაიერნი“ მეშვიდედ გავიდა ლიგის თასის ფინალში. წინა ექვსიდან ხუთი მოიგო და ერთხელ, შარშან წააგო „ვერდერთან“.

ფინალი ხვალ ლაიპციგში გაიმართება: „ბაიერნი“ — „შალკე“.

შეგახსენებთ, რომ „შალკემ“ ნახევარფინალში „ნიურნბერგი“ 4:2 დაამარცხა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კრისტიან კივუ საცოლემ გაყიდა



**მთელი** ზაფხული კრისტიან კივუს „რომადან“ წასვლა-არწასვლაზე ლაპარაკობენ.

„ბარსელონასა“ და „რეალში“ ჩაშლილი ტრანსფერების შემდეგ რუმინელი მცველის მთავარი მსურველი ისევ და ისევ „ინტერია“.

იტალიური პრესის ცნობით, ეს ტრანსფერი უახლოეს დღეებში განხორციელდება, რაც კივუს საცოლემ ადელინა ელისეიმაც დაადასტურა. თუმცა ორივე კლუბის წარმომადგენლები ამ ინფორმაციას ჯერჯერობით უარყოფენ.

„კრისტიანი „ინტერში“ 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავა. მან თავის აგენტებთან ერთად უკვე ხელფასის პირობები შეათანხმა — სეზონში 4,8 მილიონ ევროს მიიღებს და ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს მილანურ კლუბთან“ — თქვა ელისეიმ.

ამბობენ, თუ კივუ მართლაც გადავა „ინტერში“, „რომა“ მის შეცვლას რეჯინელი ფრანჩესკო მოდესტოთი ეცდება.

გარდა ამისა, „გლადიატორები“ „რეალის“ ბრაზილიელ გარემარბ სისინიოთიც არიან დაინტერესებულნი, რადგან მარკო კასეტი „მონაკოში“ გადასვლას აპირებს.

**ბოკი ბანდელაძი**

# მატერაციმ, ემერსონი აქ არ დამანახოთო

**იტალიის** ნაკრებისა და „ინტერის“ მცველი მარკო მატერაცი ემერსონის „ნეროაძურაში“ შესაძლო გადასვლას არ მიესალმება და საჯაროდ განაცხადა, რომ ამ ტრანსფერის წინააღმდეგია.

ის, რომ „პუმა“ „რეალს“ დატოვებს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და დიდი შანსია, თავი „ინტერში“ ამოყოს. თუმცა შარშან ზაფხულს სწორედ მან გააკრიტიკა პატრიკ ვიეირა და ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ნეროაძურაში“ გადასვლის გამო — „იუვეს“ უშუალო კონკურენტ გუნდში როგორ გადავიდნენ, ეს ღალატია, მე მსგავს რამეს არასდროს გავაკეთებდიო...

მარკო მატერაცი: „არ მინდა, ემერსონი „ინტერში“ რომ გადმოვიდეს. შარშან მან ვიეირა და იბრაჰიმოვიჩი ჩვენთან გადმოსვლის გამო გააკრიტიკა, ახლა კი თავად იგივეს გაკეთება უნდა. ასეთი რამე არ მესმის და ვერ ვამართლებ. აჯობებს, თუ ემერსონი „იუვენტუსში“ დაბრუნდება“.

სამაგიეროდ, მატერაცის თქმით, მას ძალიან გაუხარდება, თუ „ინტერში“ კრისტიან კივუ გადავა.

34 წლის ფეხბურთელმა „ნეროაძურის“ ახალწვეულებზეც ისაუბრა...

„ძალიან მიხარია, რომ დავიდ სუაზო დავიმატეთ. თავდასხმაში სწორედ მისნაირი მოთამაშე გვჭირდებოდა. ლუის ხიმენესი? იგი ახალი დეიან სტანკოვიჩია“ — დასძინა მატერაციმ.

ემერსონზე მატერაცის მიერ გაკეთებული კომენტარი უყურადღებოდ არ დაუტოვებია „ინტერის“ სატრანსფერო საქმეების კონსულტანტ ლელე ორიალის.

„მატერაცის ემერსონის თაობაზე უნდა დაველაპარაკოთ. ვფიქრობ, მან მხოლოდ პირადი მოსაზრებიდან გამომდინარე გააკეთა ამგვარი კომენტარი, თუმცა ეს მარკოს მოვალეობა და საქმე არ არის, მან მხოლოდ თამაშზე უნდა მოახდინოს კონცენტრაცია. ასეა თუ ისე, „ინტერში“ ემერსონის გადმოსვლის აუცილებლობას ვერ ვხედავ. რა თქმა უნდა, ჩემს სიტყვებს არანაირი საერთო არ აქვთ მატერაცის განცხადებასთან“ — თქვა ორიალიმ.

**გიორგი ძაძამიძე**



## დაიერის ოჯახური

**ოჯახური** მიზეზების გამო კირონ დაიერი, შეიძლება, „ნიუკასლიდან“ წავიდეს. ამის შესახებ მწვრთნელმა სემ ალარდაისმა განაცხადა.

28 წლის ნახევარმცველს „ვესტ ჰემი“ ეპატიჟება და მას ლონდონში გადასვლა სურს.

| 11292 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11393 | ესპანეთი 19-საბერძნეთი 19 | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16020 | ალტახი-ტიროლი | 1.62 | 2.05 |
| 16021 | მატერსბურგი-შტურმი | 1.40 | 2.55 |
| 16023 | რიდი-აუსტრია | 1.80 | 1.85 |
| 16024 | ზალცბურგი-ლინცერი | 1.05 | 5.70 |
| 16062 | ბასტია-ლე ავრი | 1.70 | 1.95 |
| 16063 | ბრესტი-ანჟე | 1.34 | 2.80 |
| 16064 | კლერმონი-შატორუ | 1.95 | 1.65 |
| 16065 | დიჟონი-აიაჩო | 1.80 | 1.85 |
| 16066 | გრენობლი-სედანი | 1.80 | 1.85 |
| 16067 | გენიონი-ამიენი | 1.80 | 1.80 |
| 16068 | ლიბურნი-მონპელიე | 1.82 | 1.82 |
| 16069 | ნანტი-რეიმსი | 1.17 | 4.10 |
| 16070 | ნიორი-ბულონი | 1.50 | 2.30 |
| 16071 | ტრუა-გენგამი | 1.25 | 3.40 |
| 16074 | ენერგია-სპარტაკი მ | 2.20 | 1.50 |
| 16075 | ლოკომოტივი მ-დინამო მ | 1.80 | 1.85 |
| 16079 | კრილია-სატურნი | 1.50 | 2.30 |
| 16080 | ყუბანი-მოსკოვი | 2.20 | 1.52 |
| 16081 | ტომსკი-როსტოვი | 1.22 | 3.40 |
| 16104 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.22 | 3.40 |
| 16105 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 1.08 | 5.00 |
| 16106 | მიდტიულანდი-ბრიონდბიუ | 1.75 | 1.85 |
| 16107 | ნორდსიელანდი-ლიუნგბიუ | 1.23 | 3.60 |
| 16108 | ოდენსე-ჰორსენსი | 1.14 | 4.70 |
| 16110 | ალესუნდი-სანდეფიორდი | 1.34 | 2.80 |
| 16111 | ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი | 1.17 | 4.10 |
| 16112 | ლინი-ფრედრიკსტადი | 1.32 | 3.00 |
| 16113 | სტაბეკი-ვილერენგა | 1.32 | 3.00 |
| 16114 | სტრიომგოდსეტი-ბრანი | 1.95 | 1.65 |
| 16115 | ტრომსიო-რუსენბორგი | 2.20 | 1.52 |
| 16116 | ვიკინგი-სტარტი | 1.23 | 3.60 |
| 16118 | ბრინი-ლივ ჰამი | 1.17 | 4.10 |
| 16119 | ჰაუგესუნდი-მოსი | 1.62 | 2.05 |
| 16120 | კონგსვინგერი-მანდალი | 1.12 | 4.60 |
| 16121 | მოლდე-სოგნდალი | 1.17 | 4.10 |
| 16122 | რაუფოსი-ნოტოდენი | 1.52 | 2.20 |
| 16123 | სკეიდი-ჰამარი | 3.60 | 1.24 |
| 16124 | ტრომსდალენი-სპარტა ს | 1.30 | 3.00 |
| 16127 | ჰალმსტადი-გაის | 1.24 | 3.60 |
| 16128 | კალმარი-გეფლე | 1.23 | 3.60 |
| 16148 | ინტერი-ლაჰტი | 1.58 | 2.10 |
| 16149 | კტპ-იარო | 1.55 | 2.20 |
| 16150 | ვიკინგიტი-მარიეჰამნი | 1.80 | 1.85 |
| 16291 | ლიონი-სოშო (ნ) | 1.17 | 4.10 |
| 16393 | ესპანეთი 19-საბერძნეთი 19 | 1.62 | 2.05 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12020 | ალტახი-ტიროლი | 1.85 | 1.80 |
| 12021 | მატერსბურგი-შტურმი | 1.90 | 1.70 |
| 12023 | რიდი-აუსტრია | 1.70 | 1.80 |
| 12024 | ზალცბურგი-ლინცერი | 2.10 | 1.50 |
| 12062 | ბასტია-ლე ავრი | 1.55 | 2.00 |
| 12063 | ბრესტი-ანჟე | 1.55 | 2.00 |
| 12064 | კლერმონი-შატორუ | 1.50 | 2.10 |
| 12065 | დიჟონი-აიაჩო | 1.50 | 2.10 |
| 12066 | გრენობლი-სედანი | 1.50 | 2.00 |
| 12067 | გენიონი-ამიენი | 1.55 | 2.00 |
| 12068 | ლიბურნი-მონპელიე | 1.50 | 2.10 |
| 12069 | ნანტი-რეიმსი | 1.65 | 1.90 |
| 12070 | ნიორი-ბულონი | 1.50 | 2.10 |
| 12071 | ტრუა-გენგამი | 1.50 | 2.10 |
| 12074 | ენერგია-სპარტაკი მ | 1.60 | 2.00 |
| 12075 | ლოკომოტივი მ-დინამო მ | 1.70 | 1.90 |
| 12079 | კრილია-სატურნი | 1.60 | 2.10 |
| 12080 | ყუბანი-მოსკოვი | 1.50 | 2.20 |
| 12081 | ტომსკი-როსტოვი | 1.60 | 2.00 |
| 12104 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.90 | 1.60 |
| 12105 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 2.10 | 1.50 |
| 12106 | მიდტიულანდი-ბრიონდბიუ | 1.90 | 1.60 |
| 12107 | ნორდსიელანდი-ლიუნგბიუ | 2.00 | 1.60 |
| 12108 | ოდენსე-ჰორსენსი | 2.10 | 1.55 |
| 12110 | ალესუნდი-სანდეფიორდი | 1.90 | 1.60 |
| 12111 | ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი | 1.90 | 1.60 |
| 12112 | ლინი-ფრედრიკსტადი | 2.00 | 1.55 |
| 12113 | სტაბეკი-ვილერენგა | 1.90 | 1.65 |
| 12114 | სტრიომგოდსეტი-ბრანი | 2.20 | 1.50 |
| 12115 | ტრომსიო-რუსენბორგი | 2.20 | 1.50 |
| 12116 | ვიკინგი-სტარტი | 1.90 | 1.60 |
| 12118 | ბრინი-ლივ ჰამი | 2.30 | 1.40 |
| 12119 | ჰაუგესუნდი-მოსი | 2.20 | 1.50 |
| 12120 | კონგსვინგერი-მანდალი | 2.50 | 1.35 |
| 12121 | მოლდე-სოგნდალი | 2.20 | 1.50 |
| 12122 | რაუფოსი-ნოტოდენი | 2.10 | 1.50 |
| 12123 | სკეიდი-ჰამარი | 2.30 | 1.40 |
| 12124 | ტრომსდალენი-სპარტა ს | 2.20 | 1.50 |
| 12127 | ჰალმსტადი-გაის | 1.80 | 1.70 |
| 12128 | კალმარი-გეფლე | 1.90 | 1.60 |
| 12148 | ინტერი-ლაჰტი | 1.70 | 1.80 |
| 12149 | კტპ-იარო | 1.75 | 1.80 |
| 12150 | ვიკინგიტი-მარიეჰამნი | 1.70 | 1.90 |
| 12291 | ლიონი-სოშო (ნ) | 1.70 | 1.80 |
| 12292 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 1.90 | 1.60 |
| 12393 | ესპანეთი 19-საბერძნეთი 19 | 1.65 | 1.90 |

# ხუთდღიანი შილდსის 25 დღე

## 32: მინუსი ბულგარეთთან და ფაჩულიას საშუალო

**ქართველ** კალათბურთელთა ერთთვიანი ევროპული ტურნეს ბულგარული მონაკვეთი დასრულდა — ჩვენი ეროვნული გუნდი სოფიის „ვივატელის“ თასზე გამოიცადა და გუშინ საფრანგეთის მყუდრო ქალაქ პოში პორტუგალიური ოთხთა ტურნირისთვის მოსამზადებლად ჩავიდა. რა იქნება პირინეის ნახევარკუნძულზე, აგვისტოს დასაწყისში ვნახავთ, აქ კი ბულგარულ ტურნირს ქართულ ჭრილში შევხედოთ.

კანადელი კენ შილდსისთვის საქართველოს ნაკრებში მუშაობა უცხო არ არის, მაგრამ მთავარი მწვრთნელობა ხომ სულ სხვა პასუხისმგებლობაა. ის აქამდე გორდონ ჰერბერტის თანაშემწე იყო, ახლა კი შილდსის სიტყვა კანონია და, როგორც ბულგარულმა ტურნირმა გამოაჩინა, თავკაცის ცვლილებით ქართულ ნაკრებს თუ არაფერი მოუგია, არც არაფერი დაუკარგავს.

შილდსის დებიუტს ბრწყინვალე არ ეთქმის, მაგრამ აუგიც ვერავის დასცდება. ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ნაკრებს ძირითადის სამი მოთამაშე აკლდა, შილდსი კი მთავარ მწვრთნელად მუშაობას სოფიურ ტურნირამდე 5 დღით ადრე შეუდგა, მეორე ადგილზე გასვლა კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ზოგადად, ამხანაგურ ტურნირებზე შედეგს ნაკლები ყურადღება ექცევა — მით უფრო იმ გუნდისთვის, რომელსაც ახალი თავკაცი ჰყავს. შილდსიც სწორედ მოიქცა, როცა პირველივე მატჩში ყველა მოთამაშე დაასაქმა და თითოეულის შესაძლებლობები ნაღდ ბრძოლაში გადაამოწმა. სამწუხაროდ, ქართველთა პირველი მეტოქე მასპინძელი და ტურნირის ისედაც ყველაზე ძლიერი მონაწილე ბულგარეთი იყო და 32-ქულიანი ალიყურიც ვიწვნიეთ. ისიც სათქმელია, რომ ეს იყო ნამგზავრი საქართველოს ნაკრების თამაში მშობლიურ კედლებში მყოფი და წინა დღეებში არაერთი ტესტ-მატჩის მომვლელის ბულგარეთის წინააღმდეგ. და წაგების მთავარი მიზეზი — ზაზა ფაჩულიას მოედნიდან პერსონალურების გამო გავარდნა მესამე მეოთხედის ახალდაწყებულზე.

ზემოთ თქმულით იმას კი არ ვცდილობთ, საქართველოს ნაკრების დიდი სხვაობით დამარცხება გავამართლოთ, უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, რომ ფაჩულია შილდსის გუნდში შეუცვლელია. ზაზა ბულგარეთთან რომ გავარდა, იმ მომენტისთვის 21 ქულა ჰქონდა მოგროვებული, თუმც მომდევნო მატჩებში იმდენი მოახერხა, შედეგიანობის საშუალო მაჩვენებელი 32 ქულაზე მაღლა აიყვანა და ბომბარდირობასთან ერთად ტურნირის უძვირფასესი მოთამაშის პრიზიც დაისაკუთრა.

შედარებისთვის: ჩვენი ნაკრების მეორე ბომბარდირ ვახტანგ ნაცვლიშვილს საშუალოდ 11 ქულა აქვს, ხოლო მესამეზე მანუჩარ მარკოიშვილია 9,3 ქულით.

ზაზამ ამ სამ შეხვედრაში თამაშიდან 51-ჯერ შეუტია მეტოქეთა კალათს და 38 ჩააგდო, რაც 74 პროცენტს შეადგენს და ფენომენალური შედეგია.

როცა ბულგარეთთან დიდი სხვაობით წააგო, შილდსმა მაკედონიასთან აღარ დაიწყო ექსპერიმენტები, ძირითადად 7 კაცზე გადაატარა თამაში და გაუმართლა კიდეც: საქართველომ უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე ის მაკედონია დაამარცხა, რომელმაც წინა საკვალიფიკაციოზე **A** დივიზიონისკენ მიმავალი გზა გადაგვიღობა და ელიტაში თავად აღზევდა.

ამ თამაშის შემდეგ ქართველებს **B** დივიზიონის რიგითი ბინადარი დანია ელოდა და შილდსმა შედარებით სუსტ მეტოქესთან თავს შემადგენლობით მანიპულირების საშუალება მისცა. ვეტარანი ვახტანგ ნაცვლიშვილი საერთოდ დაასვენა და მის მაგივრად თითქმის დებიუტანტ ზვიად ბაბიაშვილს (ერთადერთი მატჩი ეროვნულში) უხმო ძირითადში, ვინც თავი არ შეირცხვინა. ნაკრების ნამდვილმა ახალბედამ ბესიკ ლეჟავამ კი ქართველ მარქაფთაგან 11 ქულით იბომბარდირა.

შილდსის მოწონება დაიმსახურა ლაშა გამყრელიძემაც, რომელიც დაცვაში ყოჩაღობდა და საშუალოდ 2,3 ჩაჭრით ამ მაჩვენებელში ტურნირზე საუკეთესო იყო. გიორგი ცინცაძემ დანიასთან 8 პასი გაჩარხა, მაგრამ გაბულგარელებულ ამერიკელ როდერიკ ბლეკნის მთლიანობაში ვერ გადაუსწრო.

ერთი სიტყვით, შილდსი უკმაყოფილო არ დარჩებოდა, მით უფრო, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშის მოლოდინშია და მოსამზადებლად წინ მთელი 25 დღე აქვს.

საქართველოს 2-4 აგვისტოს პორტუგალიური ოთხთა ტურნირი ელის, ხოლო 9-10 აგვისტოს ინგლისის მძლავრ ნაკრებთანაც მოუწევს გაჯიბრება. ბრიტანელებს შეემატათ „ჩიკაგო ბულზის“ ვარსკვლავური ტანდემი — ბენ გორდონი და ლუოლ დენგი, რომლებიც, წინასწარი ინფორმაციით, ქართველების წინააღმდეგ პოში ითამაშებენ.

**ირაკლი ბერტაია**



ზაზა ფაჩულია 30 წუთში 32 ქულას აგდებდა

### საქართველოს ნაკრები «ვივატელის» ტურნირზე

| | თ | წთ | 2-იანი | 3-იანი | საჯ. | მოხ. | პას. | ჩაჭ. | დაკ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | 3 | 30,3 | 38/51 | 0/0 | 21/29 | 7 | 2 | 1,7 | 4,3 | 32,3 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | 2 | 29,5 | 7/17 | 0/1 | 7/13 | 5 | 1 | 1 | 2 | 11 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 3 | 25,6 | 9/17 | 2/10 | 4/4 | 3,3 | 0,6 | 1,3 | 1 | 9,3 |
| გიორგი ცინცაძე | 3 | 27,3 | 3/6 | 4/14 | 7/7 | 3,6 | 3,6 | 1,6 | 1,3 | 8,3 |
| ლაშა გამყრელიძე | 3 | 25,3 | 1/7 | 3/9 | 9/14 | 4,3 | 2,3 | 2,3 | 2 | 6,6 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 2 | 16,5 | 2/3 | 2/2 | 2/2 | 2 | 0,5 | 0,5 | 1,5 | 6 |
| ბესიკ ლეჟავა | 2 | 11 | 1/2 | 3/5 | 0/0 | 1,5 | 0,5 | 0 | 1 | 5,5 |
| დავით უგრეხელიძე | 3 | 17,6 | 4/8 | 0/0 | 2/6 | 3,6 | 0 | 0 | 0,6 | 3,3 |
| კოტე ტულუში | 3 | 10 | 2/2 | 1/1 | 0/0 | 1 | 1 | 0,6 | 0,3 | 2,3 |
| გიორგი შერმადინი | 1 | 2 | 0/1 | 0/0 | 2/2 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ანატოლი ბოისა | 3 | 21 | 2/3 | 0/2 | 1/4 | 2 | 0,6 | 0,3 | 1 | 1,6 |
| გიორგი მარკოიშვილი | 2 | 6 | 0/0 | 0/3 | 0/0 | 0,5 | 0 | 0 | 0,5 | 0 |

# ჩიკვილაძე საფრანგეთის წინააღმდეგ

## ერთი, თუნდაც ქართველი, საქმეს არ ეყო

**საფრანგეთი 65:58 საქართველო**
**17:14 15:13 22:19 11:12**

**საფრანგეთი:** ბალუმე (4), ლავერნი (4), ბაიკუა (2), კაირო (2), ვესტერმანი (13); ამენიეცი (7), ბურდილონი (8), ემანუელი (6), სადიკუ (7), დიბუ (8), დუსარი (2), ოსტრიჩი

**საქართველო:** თავართქილაძე (11), ელანიძე (2), ჩიკვილაძე (19), დვალიშვილი (6), შენგელია (3); იოსელიანი (10), ბაქრაძე (6), მაღლაკელიძე (1), სულაბერიძე, ბოქოლიშვილი

დაუკვირდით ბოლო მეოთხედის სტატისტიკას: საქართველოს ნაკრებმა 12 ქულა ჩააგდო და ეს მხოლოდ ერთმა მოთამაშემ, სულ სამქულიანებით და თანაც მეტოქის საპასუხო ქულების გარეშე გააკეთა. ბექა ჩიკვილაძემ ერთხელ უკვე გააკვირვა ევროპელები, როცა სლოვენიას 34 ქულა ჩაუკალათა, ახლა კი მისმა ჯადო-სამქულიანებმა კინაღამ საფრანგეთის მძლავრი ნაკრები იმსხვერპლა.

მთელი თამაში ბრძოლა იყო, საფრანგეთის ლიდერობა ორნიშნა რიცხვს ხშირად უახლოვდებოდა ხოლმე, მაგრამ ქართველები წუთიერად გაიბრწყინებდნენ და ჩამორჩენას მინიმუმამდე ამცირებდნენ. ასე იყო პირველ მეოთხედში, როცა 17:6 დაწინაურებულ ფრანგებს მიხეილ კობეშავიძის შეგირდებმა ყოველმხრივ შეუტიეს და პირველ შესვენებაზე სამქულიანი ჩამორჩენითღა გავიდნენ — 14:17. ასე იყო მესამე მეოთხედშიც: საფრანგეთი 38:31 იგებდა და გუნდური თამაშის წყალობით ქართველები 43:44 მიუახლოვდნენ მეტოქეს.

ერთი გამოკვეთილი ლიდერი არ ყავდათ ჩვენებს, მაშინ, როცა ფრანგებს ლეო ვესტერმანი წინამძღოლობდა. ქართველთა წინა მატჩის გმირ თორნიკე შენგელიას ბურთი ნაცარში ჩაუვარდა — ის ერთნაირი უზუსტობით ესროდა ყველა დისტანციიდან.

ასე გაგრძელდა ბოლო მეოთხედამდე, სანამ ბექა ჩიკვილაძე არ გარობინჰუდდა.

სირენამდე რვა წუთით ადრე ფრედერიკ ბურდილონმა სამქულიანი სტყორცნა და ფრანგები 57:46 დააწინაურა. ქართველები კვლავ გასათანაბრებლად მიაწვნენ მეტოქეს, თუმც აღმოჩნდა რომ ჩვენებს დიდი წვალება არ ელოდათ. ჩიკვილაძემ ერთი სამიანი სტყორცნა, მეორე, მესამე და... როცა ბექამ მეოთხე და ფრანგების გამაოგნებელი სამქულიანი ჩააგდო, ტაბლოზე ქართველების სალიდერო ანგარიში დაფიქსირდა — 58:57. ბექა ჩიკვილაძის მიჯრით ჩაგდებულმა ოთხმა სროლამ ჩვენებს 12:0 მოაგებინა ოთხწუთეული და დარბაზში სენსაციის სუნი დატრიალდა.

ფრანგებმა, ცხადია, წუთშესვენება აიღეს და მოედანზე ხუთივე მოთამაშე ჩიკვილაძეზე კბილებალესილი დაბრუნდა. ჩვენი სნაიპერის ბოგინი, რა თქმა უნდა, ალიკვეთა, ხოლო ქართველებში სხვა ისეთი არ გამოერია, რომელიც დარჩენილ ოთხწუთეულში თუნდაც ერთ ქულას ჩაუგდებდა ფრანგებს.

ქართველებმა ამ მატჩით დაასრულეს მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში და ახლა მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის იბრძოლებენ. კობეშავიძის გუნდი ჯგუფში მეხუთე ადგილზე გავიდა და ხვალ მეორე ჯგუფის მეექვსეადგილოსან უკრაინას შეხვდება. მეორე წყვილი კი ჩვენგან გუშინწინ ძლეულმა ისრაელმა და ლატვიამ შეადგინეს.

**ირაკლი ბერტაია**

ძიუდო



# მამრიკიშვილი ტატამს მსოფლიოს იქით ხედავს

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი გრიგოლ მამრიკიშვილი სეზონის დასაწყისში მიღებული ტრავმის გამო მეხუთე თვეა, ტატამზე არ გასულა. 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ყველაზე გამოცდილმა კანდიდატმა 2007 წელი თბილისის „მსოფლიოს თასის" ჩემპიონობით დაიწყო და საგაზაფხულო ევროპის ჩემპიონატის საგზური თითქმის მაშინვე გაინაღდა. მერე პარიზში ჩავიდა, ფრანგულ სუპერთასზეც ჩვეული ჭიდაობით შეუყვა საფინალო აღმართს, მაგრამ...**

— მესამე წრეში ალჟირელ მეტოქეს ვხვდებოდი. სამი წუთის შემდეგ ფრე იყო — იხსენებს გრიგოლ მამრიკიშვილი — ჩემი ჭიდაობა მიმყავდა და აუცილებლად მოვუგებდი, მაგრამ უცებ ისეთი ტრავმა მივიღე, მივხვდი, ის ტურნირი უკვე დამთავრებული იყო. ბეჭი ამომივარდა, რაც უიშვიათესი ტრავმა ყოფილა. სულ მალე გავიგე, რომ არა მარტო პარიზის „მსოფლიოს სუპერთასი", მომავალი ევროპის ჩემპიონატიც უჩემოდ ჩაივლიდა.

გაზაფხული მთლიანად მკურნალობას დასჭირდა. „მამრიკამ" ევროპირველობაც გამოტოვა და მსოფლიოს ჩემპიონატის სამზადისშიც სხვებზე გვიან ჩაერთო.

— ერთ თვეზე მეტი დარბაზს საერთოდ არ გავკარებივარ. მერე კი ნელ-ნელა დავიწყე ვარჯიში, თუმცა დატვირთვებზე ჯერ საუბარიც ზედმეტი იყო. ექიმების რჩევით, ძალიან ფრთხილად ვუმატებდი. სულ რაღაც ორი თვეა, რაც ძველებურად ვემზადები. ტკივილი აღარ მაწუხებს. ტრავმა ბოლომდე მოშუშებულია. ოღონდ ეგაა, შტანგაზე ვარჯიშის დროს მარცხენა მხარი შედარებით ადვილად მეღლება, ვიდრე მარჯვენა.

სეზონის უმთავრესი ტურნირი, მსოფლიოს ჩემპიონატი სექტემბერში, რიო დე ჟანეიროში უნდა ჩატარდეს და ძიუდოისტები წინასატურნირო სამზადისის ერთ-ერთ ეტაპს ბაკურიანში გადიან. შეკრებაზე შოთა ხაბარელმა გრიგოლ მამრიკიშვილიც იახლა და ისიც, დანარჩენი კანდიდატების მსგავსად, ბოლომდე იტვირთება.

— ბაკურიანულ შეკრებამდე ნაკრებთან ერთად, ჯერ შავი ზღვის სანაპიროზე დავისვენე, ხოლო შემდეგ მინსკის ერთობლივ წვრთნებშიც მივიღე მონაწილეობა. ბათუმის აღდგენით შეკრებაზე წასვლა შოთა ხაბარელმა შემომთავაზა, ჯანმრთელობისთვისაც კარგია და თან სანაკრებო ციებ-ცხელებასაც გაიხსენებო. იქ კი მკითხა, ბელარუსში გუნდთან ერთად წასვლას და ვარჯიშს თუ შევძლებდი. ვუთხარი, რომ დატვირთვების გაძლება არ გამიჭირდებოდა და არც მწვრთნელი დამილალატებია. მინსკში ყოველდღიურად ოცი შეხვედრის ჩატარება მიწევდა და ამის მიუხედავად, დაღლას ვერ ვგრძნობდი.

მამრიკიშვილის ტრავმიანობის პერიოდში 81 კილოგრამის ლიდერი გიორგი ბაინდურაშვილი გახდა. ევროპის ჩემპიონატზე სწორედ მან იჭიდავა. მსოფლიოს შემადგენლობაში მოსახვედრად კი საბა გავაშელიშვილთან უწევს კონკურენცია. გრიგოლიც მწყობრშია, მაგრამ ბრაზილიურ შანსზე საუბარს ერიდება.

— შემადგენლობის შერჩევა მწვრთნელის საქმეა. თუ შიდა კონკურენციაში საუკეთესო ვიქნები, დარწმუნებული ვარ, დამიფასდება. კონკურენტებიდან კი, ჩემი აზრით, ბაინდურაშვილს უკეთესი შანსი აქვს. ძალიან კარგ ფორმაშია და არც გამოცდილება აკლია. საერთაშორისო წარმატებისთვისაც მზადაა, თუმცა საამისოდ იღბალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სიმართლე გითხრათ, ჩემი მთავარი საფიქრალი პეკინის ოლიმპიადაა. მომავალ ზაფხულზე აქედანვე ვფიქრობ. მთავარია, ჯანმრთელობამ ხელი შემიწყოს. ტრავმების გამო გაცდენილი დრო ერთად რომ შევკრიბო, ალბათ, ოთხი-ხუთი წელი უქმად მექნება გატარებული. მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან ორ კვირაში ინგლისის „მსოფლიოს თასზე" აუცილებლად გავალ ტატამზე.

**ოთარ გალლაკელიძე**

მძლეოსნობა

# პანამერიკას პანამაც შეუერთდა

**რიო დე ჟანეიროში** დაიწყო კი არა, უკვე დასასრულს უახლოვდება პანამერიკული თამაშები, სრულიად ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ერთგვარი მცირე ოლიმპიადა. ამას წინათ რიოში ერთბაშად 6 ოქროს მომგები ბრაზილიელი მოცურავე კარლოს პარეირას ამბავი გაცნობეთ, ახლა კი მძლეოსნებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

პანამერიკულ თამაშებზე ძვირად იხილავთ მსოფლიოს რეკორდებს, რაკილა იქ გამოსული საუკეთესო სპორტსმენები თავს ზოგავენ და უფრო მასშტაბური პირველობისთვის ინახავენ ძალებს, მაგალითად, ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. მაგრამ პატარა ქვეყნის წარმომადგენლებისთვის პანამერიკულ თამაშებს პატარა კი არა, დიდი ოლიმპიადის ეფექტი აქვს. ასეთად ჩაითვლება თითქმის უცნობი სპრინტერი კარიბის ზღვის აუზის ერთი ციცქნა ქვეყნიდან, რომლის სახელია ჰოლანდიის ანტალია. ამ ქვეყნის ქალაქ კიურასაოში დაბადებულმა ვინმე ჩურანდი მარტინამ თვით კაცთა 100-მეტრიანი გარბენი მოიგო. ჩურანდი მარტინას არ ჰქონია რაღაც ზღაპრული შედეგი — 10,15 წამით 100 მეტრს სხვაგან ვერ მოიგებდა, მაგრამ რიოში არც ამერიკელი სუპერსპრინტერები ჩასულან და არც ფეხმალი კარიბელები და ჰოლანდიის ანტალიას პირველი პანამერიკული ოქრო შეხვდა.

20 კილომეტრ სპორტულ სიარულზე სპეციალიზირებული ეკვადორელი ჯეფერსონ პერესი ვერაა მსოფლიოს მასშტაბის გრანდი, მაგრამ ამერიკაში ის ყველაზე სწრაფად „დადის". ეს მისი მეხუთე პანამერიკაა და აგერ მეოთხედ იმარჯვა — 20 კილომეტრი 1 საათში, 22 წუთსა და წამში გაინაბიჯა და წუთით და 20 წამით ჩამოიტოვა მდევართაგან უყოჩაღესი, სხვათა შორის ასევე ეკვადორელი როლანდო საქუიჰაია.

კარგი შედეგი დაფიქსირდა ქალთა 100-მეტრიან გარბენში. რიოში არ ჩასულან ქურციკი ქალები — ამერიკელი ედვარდსი და იამაიკელი უილიამსი. ხოლო ჩასულთაგან ისევ ამერიკელმა იმარჯვა, თან შესანიშნავი შედეგითაც: მიკელე ბარბერმა 100 მეტრი 11,02 წამში დაფარა.

თავისთავად იყვნენ ყოჩაღი და სახელიანი მძლეოსნებიც, რომელთაც, ვთქვათ, რომელიმე ევროპულ გრან პრიზე გამოსვლას რიოში ჩასვლა არჩიეს. პანამელი ირვინგ სალადინო დღესდღეობით მსოფლიოში უძლიერესი სიგრძეზე მხტომელია. ახალგაზრდაა და ჯერ კიდევ არ მოუგია მსოფლიოს ჩემპიონატი (ახლა აპირებს) და არც თუნდაც პანამერიკული თამაშები. ის კი არა, პანამა საერთოდ ოქროს გარეშე მონაწილეობდა კონტინენტურ ოლიმპიადაზე, მიუხედავად იმისა, რომ რიო აგერ უკვე მე-15 თამაშებს მასპინძლობს. სალადინომ პირველი ოქრო მოუტანა არხქვეყნელებს, როცა 8,28 მეტრზე ჩახტა ქვიშიან ორმოში. ისე, მისგან უკეთესი შედეგის მოლოდინი იგრძნობოდა, რაკილა კვალიფიკაციაზე 8,38-ზე გადახტა, თუმც ფინალში მის 8,28-საც ვერ გამოუჩნდა მოცილე.

კუბელმა უროს მტყორცნელმა ქალმა იფსი მორენომ — რაკი მას ამერიკაში ხელს არ უშლის რუსი ტატიანა ლისენკო — დრო იხელთა და 75,20 მეტრზე ნატყორცნი უროთი მოიგო ქალთა შეჯიბრი. გულში ფიქრობს, ეს ლისენკო ხელს და ნერვებს რომ არ მიშლიდეს, დიდ ოლიმპიადასაც ხომ მოვიგებდიო. რუსის გამოჩენამდე კუბელი იყო ნომერ პირველი მეუროვე ქალი და 2001 და 2003 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებიც მას მოუგია.

თარჯრბენში მძლავრი ამერიკელები ძალიან სუსტი ხალხით იყვნენ წარმოდგენილები, მაგრამ 100 მეტრზე ქალთა თარჯრბენი მაინც საინტერესო გამოვიდა. იამაიკელმა დელლორონ ენის-ლონდონმა და ყოჩალმა კანადელმა პერდიტა ფელისიენმა ერთმანეთს ჯოჯოხეთური შეჯიბრი გაუმართეს. ორივემ 12,65 წამში გადაკვეთა ფინიში და არბიტრები კარგა ხანს ზურგში მსჯელობდნენ და ფოტოფინიშზე არჩევდნენ გამარჯვებულს. ბოლოს მოგება იამაიკელს უწილადეს.

არც კანადა დარჩა უოქროოდ. ტურნირს მესამე დღეს 800-მეტროსანმა ქალმა დიან კამინგსმა ჩაუშვა გუნდის ყულაბაში თავისი წილი ოქრო, მეოთხე დღეს კი ეს შეიდჭიდელმა ქალმა ჯესიკა ზელინკამ გააკეთა.

**კოტე ყორშია**



იფსი მორენო

ოლიმპიზმი

## ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ბელგრადი, სერბეთი. 21-28 ივლისი

# ერთს ვნერთ, ორს ვიმახსოვრებთ

**ევროპის** ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე მოპოვებულ სამივე სინჯის თითო მედალს გუშინ ქართულმა გუნდმა ერთი ბრინჯაოც მიამატა. ბელგრადიდან კარგი ამბავი ისევ ძიუდოისტებისგან მოვიდა. ტატამზე ორი წონითი კატეგორია გავიდა. 73 კილოგრამში საქართველოს სახელით გიორგი მერმანიშვილმა იჭიდავა და მესამე ადგილზე გავიდა. 81 კილოგრამში კი არჩილ შინჯიკაშვილმა რეპეშაჟის ფინალი წააგო.

ჯერჯერობით ქართულ ყულაბაში მხოლოდ ძიუდოისტების მედლებია, მაგრამ უკვე ჩოგბურთელებმაც გაინაღდეს მინიმუმ ორი ვერცხლი. გუშინ გოგონათა პირადი პირველობისა და შერეული წყვილების ნახევარფინალები გაიმართა და ჩვენებურებმა ორივე ფრონტზე იმარჯვეს. ეკა გორგოძემ ფინალის საგზური ფრანგ ჩლო ბაბეს ჯერ ერთი-ერთზე აართვა (6:4 6:4), მერე კი გიორგი ხმიადაშვილთან დუეტში ბაბესთან შეამხანაგებულ ჯანი მინასაც დასწყვიტა გული — 6:3 7:6.

შეჯიბრში ბირთვის მკვრელი ვაჟებიც ჩაერთვნენ და ქართველმა აქაც იყოჩაღა. ახლახან ჩატარებული შავი ზღვის თამაშების ჩემპიონმა გიორგი ბედოშვილმა ბირთვი 17,71 მეტრზე გადააგდო, საკვალიფიკაციო რაუნდში მეხუთე ადგილი დაიკავა და ფინალურ რვეულში ჩაეწერა.

**ოთარ გალლაკელიძე**

კოკა კოლას თასი. თბილისი. 23-28 ივლისი
ITF-ის კაცთა ტურნირი. ჰარდი. საპრიზო 15000$

# ლადოს ხასიათი: ძლიერთან ძლიერი



ერთეულები. მეორე წრე

მიხაილ ილგინი (1, რუსეთი) — როს კონოლი (დიდი ბრიტანეთი) 6:2 6:7 (6) 6:3
დანიელ ლუსტიგი (6, ჩეხეთი) — მიხაილ ლფშიტზი (რუსეთი) 6:3 6:1
ლადო ჩიხლაძე (3, საქართველო) — პიტერ კლარკე (ირლანდია) 6:7 (4) 6:4 6:3
სურუმ აბდუკალიმოვი (5, ყაზახეთი) — ანდრეი ციმაკი (მაკედონია) 3:6 2:6
შარლ როშე (7, საფრანგეთი) — მიხაელ პაზიჩკი (სლოვაკეთი) 6:2 7:6 (3)
სერგეი ბეტოვი (ბელარუსი) — ჯირი კრკოსკა (ჩეხეთი) 7:6 (4) 6:3
ჯეიმს კლუსკი (ირლანდია) — მეტ სიმფსონი (ახალი ზელანდია) 6:4 6:4
კლემენ მორელი (2, საფრანგეთი) — სტანისლავ ჟურავსკი (რუსეთი) 6:3 6:1

„რუსებსა და ბელორუსებს რომ უყურებ, ყველა ტურნირზე უპატრონოდ დადიან და დამოუკიდებლად ცდილობენ კარიერის გაკეთებას. ჩვენებს კი მშობლები თავს ევლებიან, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდით" — გულდაწყვეტით შემომჩივლა „იან ჰომერის" კორტების კაფეში შემთხვევით გაცნობილმა ხნიერმა ქალბატონმა. რომ ვუთხარი, ჟურნალისტი ვარ-მეთქი, გაუხარდა და ხუმრობაგარევით მთხოვა, რაც გითხარი, ყველაფერი დაწერეო. შემდეგ ქართული ჩოგბურთის ავ-კარგზე ვისაუბრეთ — მოედნები რომ არ გვაქვს, ბავშვის ჩოგბურთზე მიყვანა რომ ოხრად ფული ჯდება, სამი პატარა ბურთი რომ 18 ლარი ღირს და უამრავ ისეთ წვრილმან დეტალზე, რომელიც მარტო საქმეში ჩახედულ ადამიანს შეიძლება სცოდნოდა. ქალბატონს დავემშვიდობე და ლადო ჩიხლაძის თამაშის სანახავად წავედი იმ იმედით, რომ იქნებ ჩვენმა ჯილამ მაინც მოიგოს და თბილისის ტურნირზე მონაწილე სხვა ქართველების დამარცხება დაგვავიწყოს-მეთქი. ლადო ჩიხლაძის და ირლანდიელი პიტერ კლარკეს მატჩი ცენტრალურ კორტზე შუადღის 3 საათზე უნდა დაწყებულიყო. პაპანაქება სიცხეში ტრიბუნებზე ჩვენებურის საახლობლო შეკრებილიყო და თამაშის სავარაუდო შედეგზე მსჯელობდა. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც თქვა, ვიცი ლადოს ხასიათი, როცა ძლიერ მეტოქეს ხვდება უფრო მობილიზებული თამაშობსო. ეს მეტოქე კი ერთი კვირის წინ თბილისური „კოკა-კოლას თასის" მაგვარი, აიტიეფ-ის ეგიდით ჩატარებული ერევნის ტურნირის გამარჯვებული გახლდათ.

თამაშის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ ულამაზესი სანახაობა გველოდა. შეხვედრა ქულა-ქულაში და გეიმ-გეიმში მიდიოდა. კარგი ჩოგბურთისთვის დამახასიათებელ ყველა კომპონენტს ნახავდით — ძლიერ ჩაწოდებებს, ხანგრძლივ გათამაშებას და რაც მთავარია, კორტზე თავდაუზოგავ შრომას. ყოველივე ეს ტრიბუნებზე თავშეკავებულ ემოციებს იწვევდა, რადგან ჩოგბურთი არისტოკრატიული სპორტია და დაუწერელი კანონებით გრძნობების გამოვლენა აკრძალულია. პირველი სეტი ლადომ ტაიბრეიკით წააგო. გავეშებული ირლანდიელი სიხარულს ვერ მალავდა... ყველა ხვდებოდა, რომ მოწინააღმდეგის მოწოდების მოგება მეორე სეტში გამარჯვებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იქნებოდა, ერთ მომენტში ირლანდიელის მოწოდებაზე ლადო 30:0 იგებდა, მაგრამ უპირატესობა გაანიავა და მატჩის წაგებასაც აღარაფერი აკლდა, როცა ისევ დამაჯერებელი თამაშით საბოლოო ჯამში სეტი 6:4 მოიგო. ბოლო, გადამწყვეტ პარტიაში ისევ დაძაბულ ბრძოლას ველოდით, მაგრამ ირლანდიელს თურმე ილაჯი აღარ შერჩენოდა. მატჩის მიწურულს სტუმარმა ფარხმალი დაყარა და სტატისტის როლში მოგვევლინა. საბოლოო ანგარიშით 6:7(4), 6:4, 6:3 ლადო ჩიხლაძემ გაიმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა. თამაშის შემდეგ მას მცირე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ: „თვითონაც ნახეთ, როგორი დაძაბული შეხვედრა გამოდგა. საკუთარ კედლებში თამაში განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა. საკმაოდ ძლიერი მეტოქე დავამარცხე, მაგრამ ტურნირზე სხვა სერიოზული მოწინააღმდეგეებიც არიან და ამიტომ ბევრი ოფლისღვრა მომიწევს".

სხვა შეხვედრებში გამოსარჩევია როს კონოლისა და ტურნირის პირველ ნომრად განთესილი მიხაილ ილგინის თამაში, რომელიც ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, 6:2 6:7(6) 6:3. ასევე მოიგო თავისი შეხვედრა მეორე ნომერმა კლემენ მორელმა. რომელიც ადვილად მოერია რუს სტანისლავ ჟურავსკის.

**ზურაბ მიგრიაული**

# ქართველები და ორგვარიანები

**ლუქსემბურგში,** პეტანჟე-ჰოსპიტალიტის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირი მაკა ჩახნაშვილმა ჰოლანდიელი ელიზ ტამაელის ძლევით დაიწყო. 23 წლისა და რეიტინგში 184-ე ადგილზე მყოფ მეტოქეს საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა 6:3 6:2 მოუგო. მაკას შემდეგი მეტოქე კლასიფიკაციის 153-ე ნომერი, 20 წლის ჩეხი ბარბორა ზაჰლავოვა-სტრასოვაა, რომელმაც მანამდე განთესილ თანამემამულეს, სუსანა ონდრაშკოვას 6:1 6:1 გადაუარა.

წარმატებით დაიწყო თამაში ამერიკული ევანსვილის ჰარდზე სოფო მელიქიშვილმაც. 10-ათასიანთან შეჯიბრში მე-6 ნომრად განთესილმა ქართველმა 6:2 6:0 გაანადგურა კვალიფიკაციიდან წამოსული მასპინძლეი კიმი გრეი. სოფოს შემდეგი მეტოქე 18 წლის ბოლივიელი მარია-ფერნანდა ალვარეს-ტერანაა, ვისაც რეიტინგში 871-ე საფეხური უკავია.

ამერიკაში მოთამაშე კიდევ ერთი ქართველის, სალომე დევიძისთვის ეს კვირა წარუმატებელი გამოდგა. ლექსინგტონის ჰარდზე მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეში სალომეს 6:2 6:0 მოუგო 15 წლის ნიჭიერმა ამერიკელმა, რეიტინგის 561-ე ნომერმა მელანი ოუდინმა.






ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩინელი იან ტიანი ბურთსაც შესწვდა და პლეი ოფის საგზურსაც

# ურთველო შვეიცარია საქა-რთველოს გეორ-გიაც მიჰყვა

**ბრაზილიური** ჯიშისა და ქართული პასპორტის მქონე პლაჟბურთელთა კოტრიალი შვეიცარიულ ალპებში, პატარა ქალაქ გშტაადში ატანილ სილაში ჯგუფურ ეტაპზე დასრულდა. ქალებმა, ანუ საქამ და რთველომ გშტაადში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის საწყისი ორი თამაში წააგეს და ამით თავს განაჩენი გამოუტანეს და გუშინ კაცებს, ანუ გეორ და გიასაც გადაეწურათ პლეი ოფში გასვლის იმედი.

ჰოლანდიურ წყვილთან გამარჯვებისა და მასპინძელ შვეიცარიელებთან მარცხის შემდეგ, გეორ-გიას ერპთი შანსიღა ჰქონდათ — დასკვნით ტურში ამერიკელების, როჯერსისა და დალჰაუზერისთვის ორ სეტში უნდა მოეგოთ, მაგრამ პირიქით მოხდა — ჩვენები 15:21 18:21 დამარცხდნენ და ამით მათ გშტაადურ ბურთაობას წერტილი დაესვა.

ჯგუფიდან ამერიკელებთან ერთად ჰოლანდიელები გავიდნენ, რომლებმაც მასპინძლებს 21:15 21:12 მოუგეს.

საქამ და რთველომ კი კარები გაიჯახუნეს. მესამე ტურში ჩვენებმა ავსტრიელი დები შვაიგერების დუეტი სამ პარტიაში — 21:18 13:21 15:11 დაჯაბნეს და ამით ოდნავ გამოიკეთეს ხასიათი.

ჭიდაობა

# თავისუფლების ხუთიანი

**ვარშავაში** ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპირველობაა გაჩაღებული. თავისუფალი სტილის მიმდევრებმა საქმე უკვე მოილიეს. დღეს ხალიჩა ქალებისაა, ხვალ-ზეგ კი მასზე ბერძენ-რომაელებიც გავლენ. ქართველი თავისუფლები თბილისში ხუთი მედლით ბრუნდებიან. აქედან ერთი ოქროსია, ხოლო ორ-ორი — ვერცხლისა და ბრინჯაოსი.

ჩვენებურთაგან ტურნირი წაუგებლად მხოლოდ 100 კილოგრამში მოჭიდავე თორნიკე ხიდეშელმა დაასრულა. დავით ხუციშვილმა (58 კგ) და დავით მარსაგიშვილმა (76 კგ) ფინალები წააგეს, ხოლო ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (50 კგ) და გიორგი ჩიტაშვილმა (85 კგ) მესამე ადგილები დაიკავეს.

უმედლოდ ავთანდილ ჯიოევი (46 კგ), ვასილ მამულაშვილი (54 კგ) და გიორგი მელქაძე (63 კგ) დარჩნენ.

**ოთარ ზაღლაძელიძე**

# 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# ტური, როგორც ცხოვრების წესი



## მე თქვენ მოგივლით! პიტერ მაკუეიდმა ველოსამყარო გახლიჩა




**ვილაცას** ძალიან უნდა, რომ „ტურ დე ფრანსი" „ტურ დე ფრანსი" აღარ იყოს. საქმე ის არის, რომ არის ველოსპორტი, როგორც სპორტის სახეობა და არის „ტურ დე ფრანსი" — ყველასა და ყველაფერზე ამაღლებული, ლეგენდარული ველორბოლა თავისი საუკუნოვანი ისტორიით, თავისი მთებითა და დაბლობებით, განუმეორებელი გმირებით და, რაც მთავარია, ასიათასობით ქომაგით, ყოველწლიურად რომ ავსებენ „ტურის" სვლა-გეზის სანაპიროებს.

ვილაცას ძალიან უნდა, რომ „ტურის" პრესტიჟი დაეცეს. საამისოდ ბოლო წლებში ყველაფერი კეთდება, მაგრამ ამის მსურველნი ერთს ვერ ხვდებიან — ლეგენდას ვერ მოკლავ და ეს გუშინაც კარგად გამოჩნდა, როდესაც მთელი ამ არნახული სკანდალების შემდეგ, ერთ, რიგით ეტაპზე, რომელიც მთლიანად დაბლობზე გადიოდა, გზის აქეთ-იქით ქომაგთა ათასეულები იყო თავმოყრილი.

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) ირლანდიელი პრეზიდენტი პიტერ მაკუეიდი თავისი არაორდინალური განცხადებებითაა ცნობილი. ამ გაზაფხულზე ასეთი რამეც კი თქვა — ველოსპორტი ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილოელები კარგები ვართ, ხოლო სამხრეთელები, ანუ ესპანელები, იტალიელები, ფრანგები, დოპინგის მომხმარებელი ხალხიაო.

მაკუეიდს ვერ აუტანია ის, რომ დიდი ველოტურების — „ტურ დე ფრანსის", „ჯირო დიტალიას", „ვუელტა ესპანას" ორგანიზატორები UCI-სა და მის მიერ ორგანიზებულ პროტურის სერიას მაღლიდან უყურებენ და არ ემორჩილებიან. მაკუეიდი ცდილობს, ლეგენდარული ველომარათონები თავისი ორდინალური კავშირის ბატონობის ქვეშ მოაქციოს და საამისოდ ყველა დასაშვებ თუ დაუშვებელ მეთოდს მიმართავს.

ალესანდრო პეტაკი, სპრინტის იტალიელი დიდოსტატი, ვითომ დოპინგის მიღებაში ამხილეს და „ტურის" მონაწილეთა სიიდან ამოიღეს. ორიოდე დღის წინ იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც განაგებს კიდეც თავისი ქვეყნის სპორტსმენთა საქმეებს, პეტაკი საბოლოოდ გაამართლა, მაგრამ მერე რა — წლევანდელმა „ტურმა" თანამედროვეობის ალბათ საუკეთესო ფინიშიორის გარეშე ჩაიარა.

ესპანელი ექიმი ეუფემიანო ფუენტესი, ვისი სახელითაც შარშანდელი „ტურ დე ფრანსის" დაწყების, ზუსტად წინა დღეს არნახული დოპინგ-სკანდალი აგორდა, გაოგნებულია — მე უამრავი პაციენტი მყავს, რომელთა შორის ველომრბოლთა გარდა, უცნობილესი ფეხბურთელები და ჩოგბურთელებიც არიან, მაგრამ არც FIFA-ს და არც ITF-ს არავინ დაუსჯია, ასეთი რამ მხოლოდ UCI-მ გააკეთა.

იან ულრიხი და ივან ბასო — ესენი, სწორედ დოქტორ ფუენტესთან კავშირის გამო, შარშანდელი „ტურის" მონაწილეთა სიიდან მოკვეთეს და საბოლოოდ, ვერც ერთის ბრალეულობა დაამტკიცეს და ვერც მეორესი. ულრიხმა ვერ გაუძლო და სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, ხოლო ბასომ, დოპინგი არ მიმიღია, მაგრამ დისკვალიფიკაციის ორ წელსაც გავაგრძელებ და მერე მაინც შევეცდები „ტურ დე ფრანსის" მოგებასო.

ფლოიდ ლენდისი, შარშანდელი „ტურის" ამერიკელი გამარჯვებული დღემდე სასამართლოში დარბის და ცდილობს, თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს. დღემდე ვერ დაამტკიცა, მაგრამ კურიოზი ის არის, რომ საწინააღმდეგოც ვერ დამტკიცდა. ანუ, ლენდისი თან არის, თან აღარც არის 2006 წლის „ტურის" გამარჯვებული.

ეს ყველაფერი ბოლო ერთი წლის, ანუ ლენს არმსტრონგის შემდგომი ეპოქის ამბებია. უფრო ძველებს, თუნდაც მარკო პანტანისა და რიშარ ვირანკის თავგადასავლებს ახლა ნუღარ გავიხსენებთ. არმსტრონგი რას იღებდა და როგორ იგებდა, არც ამაზეა ახლა ლაპარაკი და, თითქოს ისე მოხდა, რომ არმსტრონგის შემდეგ „ტურს" გამარჯვებული აღარ უნდა ჰყავდეს.

ალექსანდრ ვინოკუროვს თავი დავანებოთ. სისხლის დოპინგი ისეთი რამეა, მასში შემჩნეული სპორტსმენიცა და მისი გუნდიც საერთოდ უნდა მოკვეთო საქმიდან და ის, რაც მიქაელ რასმუსენს შეემთხვა, მთლად ანეკდოტურია.

წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" მსვლელობისას კაცს თოთხმეტჯერ ჩაუტარეს დოპინგზე ტესტი და დანიელი მრბოლი ყველა მათგანში სუფთა იყო. ეგრე არ უნდაო და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის უუცნაურესი დებულება გაიხსენეს, რომლის ძალითაც ნებისმიერი მრბოლი ვალდებულია, სადაც სავარჯიშოდ რომ მიდის, თავისი ქვეყნისა და UCI-ს ანტისადოპინგო სამსახურებს აცნობოს, ამა და ამ ადგილას ვარ და მოდით, გამსინჯეთ, ნახეთ, რა სუფთა ვარო.

წლეულს მაისში, თურმე რასმუსენს ასეთი რამ არ გაუკეთებია. ანუ, ანტისადოპინგო სამსახურებმა რაღაც წყაროებიდან იცოდნენ, რომ რასმუსენი მექსიკაში იყო, მას კი ამ დროს იტალიაში წასვლა მოსურვებია და ამის შესახებ შესაბამისი უწყებებისთვის არ უცნობებია.

ეს მაისში იყო, მაგრამ დანიური ველოსპორტის ანტისადოპინგო სამსახურმა, რომელიც, თავის მხრივ, UCI-ს ემორჩილება, ახლა მოინდომა ამ ამბის გახსენება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას — რასმუსენი „ტურის" ლიდერის ყვითელ მაისურაში რომ არ გამოწყობილიყო, არავის გაახსენდებოდა მექსიკა თუ იტალია. როდესაც დანიის ველოსპორტის ფედერაციამ, სავარაუდოდ, UCI-ს დაჟინებით თავის საუკეთესო მრბოლს ძველი და უცნაური ამბები ამოუქექა და წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატსა და მომავალ წელს გასამართ პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა აუკრძალა, „ტურ დე ფრანსის" დირექტორი, თავად დოპინგთან დაუნდობელი მებრძოლი კრისტიან პრუდომი გაგიჟდა — კი, მაგრამ, აქამდე სად იყვნენ, ახლა რომ გაიხსენეს ეს ყველაფერიო.

იმიტომ გაიხსენეს, რომ ვილაცებს ძალიან უნდათ, „ტურ დე ფრანსი" „ტურ დე ფრანსი" აღარ იყოს. არ გამოუვათ. ხალხი „ტურის" საყურებლად მიდის. „დიდი მარყუჟი" ლამის მილიონებისთვის ცხოვრების წესია და ამ წესს ისინი არ გადაუხვევენ.

**P.S. ჰოლანდიურმა „რაბობანკმა", რომლის სახელითაც მიქაელ რასმუსენი გამოდიოდა, დანიელი მრბოლი ჯერ „ტურიდან" მოკვეთა, შემდეგ კი საერთოდ განყვიტა მასთან კონტრაქტი.**

**„ტურის" გუშინდელ, მე-17 ეტაპზე ლიდერის ყვითელი მაისურა არავის ეცვა, ეტაპის დასრულების შემდეგ კი ლიდერად მანამდე მეორე ადგილზე მყოფი ახალგაზრდა ესპანელი ალბერტო კონტადორი აკურთხეს.**

**სიმართლე რომ ითქვას, ინტრიგამ მოიმატა. მეორე ადგილზე მყოფი ავსტრალიელი კედელ ევანსი კონტადორს წუთითა და 53 წამით ჩამორჩება და შაბათის ინდივიდუალურ რბოლაში ამ სხვაობის გაბათილება ევანსს ნამდვილად ძალუძს.**

| მე-17 ეტაპი. პო-კასტელსარაზანი. 188 კმ | |
|---|---|
| 1. დანიელე ბენატი (იტალია, „ლამპრე") | 41 სთ, 14 წთ, 40 წმ |
| 2. მარკუს ფოტენი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | |
| 3. მარტინ ელმიგერი (შვეიცარია, AG2R) | |
| 4. იენს ფოიგტი (გერმანია CSC) ყველას იგივე დრო | |
| 5. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „სონი დიუვალი") | +2წთ, 41 წმ |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | 80 სთ, 42 წთ, 08 წმ |
| 2. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +1 წთ, 53 წმ |
| 3. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი) | +2 წთ, 49 წმ |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +6 წთ, 02 წმ |
| 5. აიმარ სუბალდია (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +6 წთ, 29 წმ |
| 6. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +10 წთ, 18 წმ |
| 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობილი") | +11 წთ, 36 წმ |
| 8. ალექსანდრ პოპოვიჩი (უკრაინა, „დისქავერი") | +12 წთ, 50 წმ |
| 9. ხუან მაურისიო სოლარი (კოლუმბია, „ბარლვორლდი) | +13 წთ, 31 წმ |
| 10. მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +14 წთ, 07 წმ |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge